სემინარი გახსნა აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა:
ღირსნო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონებო, დავიწყოთ დღევანდელი ჩვენი შეკრება, რომელიც მნიშვნელოვანი შეკრება არის ჩვენი ცენტრისა, ეს არის ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ დიდი ხანია ჩამოყალიბებულია, ათი წელიწადია და რომელსაც უკვე საკმაოდ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი საქმე აქვს გაკეთებული მეცნიერული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მინდა მოგახსენოთ, ჩატარებულია არა ერთი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც არა მარტო ჩვენი, არამედ ბევრი უცხოელი მეცნიერი ესწრებოდა და იღებდა მონაწილეობას, ჩატარებულია ასევე თემატიკური კონფერენციები, ამ მუშაობის შედეგად გამოცემულია ექვსი ნომერი ჟურნალისა, რომელიც ამ ცენტრის ორგანოა, ეს არის "ლოგოსი", სადაც იბეჭდება მასალები ამ სიმპოზიუმებისა, რომელზედაც მოგახსენეთ. გარდა ამისა ცენტრი ინტენსიურად ატარებს სალექციო მუშაობას, როგორც თბილისის დაწესებულებებში, ისე პროვინციებში, სხვადასხვა რაიონებში ჩვენი ქვეყნისა და თემატიკა, მოგეხსენებათ, აქაც არის მეცნიერული ან საგანმანათლებლო და რამდენადაც მე შემიძლია შევაფასო, ამ მუშაობას საკმაოდ კარგი გამოხმაურება აქვს. ინტენსიური და ნაყოფიერია, ჩემი აზრით. გარდა ამისა, ამ ცენტრმა, მეუფე დანიელის ინიციატივით, სხვათა შორის, ახალი მიმართულება შექმნა მუშაობისა. ეს გახლავთ, იდეის მიხედვით მუდმივმოქმედი სემინარები, რომლებიც გარკვეული ინტერვალებით ჩატარდება. ამ სემინარებში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მეცნიერები, სპეციალისტები ამა თუ იმ დარგისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. ეს სემინარული მუშაობაც, რა თქმა უნდა, მიეძღვნება, ფაქტობრივად ქრისტიანული მეცნიერების პრობლემატიკას, რომლითაც დაინტერესებულია ცენტრი და რომელზეც ცენტრი მუშაობს. ეს არის, უფრო სწორედ, ქრისტიანობისა და მეცნიერების ურთიერთობა და სხვა დიდი პრობლემები, რომელზედაც ეს სემინარი აპირებს ყურადღების გამახვილებას. დღეს, მე ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მნიშვენლოვანი დღეა, იმიტომ რომ ფაქტობრივად დღეს იწყებს ეს სემინარი მუშაობას და როგორც მოგეხსენებათ დღევანდელი თემატიკა არის სწორედ ის ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც კარგა ხანია დგას სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ეს არის რწმენისა და მეცნიერების ურთიერთობა. მოგეხსენებათ, რომ შუა საუკუნეებში მეცნიერება ჩაისახა იქ, იმ კერებში, სადაც სწორედ რწმენა იყო გაბატონებული. ეს იყო, ფაქტობრივად, მონასტრები და სწორედ ევროპაში ამ მონასტრის მოღვაწე სხვადასხვა ბერები იყვნენ მეცნიერები, რომლებიც ნამდვილად, გულწრფელად მორწმუნეები იყვნენ. აი, სწორედ მათი ძალისხმევით ჩაისახა მეცნიერება და ამდენად ფაქტობრივად მეცნიერების ჩასახვა სწორედ რწმენასთან ურთიერთობით მოხდა, მაგრამ შემდეგმა განვითარებამ მეცნიერებისა, როგორც მოგეხსენებათ, დააშორა ერთმანეთს რწმენა და მეცნიერება, რელიგია და მეცნიერება და შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ორი სხვადასხვა ფუნდამენტური მიმართულებაა ადამიანის ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რომელთაც არც კი აქვთ შეხების წერტილები და გამორიცხავენ კიდევაც ერთმანეთს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, უკვე მე-20 საუკუნეში მოხდა, ასე ვთქვათ, მეტამორფოზი ამ შეხედულებისა და უდიდესი მეცნიერები, ბუნებისმეტყველნი, იმ აზრამდე მივიდნენ, რომ რწმენას და მეცნიერებას ფაქტობრივად ერთი მიზანი და ერთი საგანი აქვთ შესასწავლი. აი ეს დიდი პრობლემა დგას დღეს ჩვენი სემინარის დღის წესრიგში. მოგახსენებთ, ორი მოხსენება გახლავთ ამ პრობლემატიკაზე და შემდეგ იქნებიან გამომსვლელები და მსურველები დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისა. სანამ მე გამოვაცხადებდე მომხსენებელს, მინდა მოგახსენოთ რეგლამენტი ჩვენი მუშაობისა, ეს გახლავთ

მოხსენებისათვის დაახლოებით ნახევარი საათი, ხოლო იმ გამომსვლელებისათვის, რომლებიც ჩაწერილნი არიან და ამდენად იგულისხმება, რომ უეჭველად გამოვლენ, 5-5 წუთი. გარდა ამისა, თუ სურვილი იქნება კიდევ აუდიტორიიდან, რომ მონაწილეობა მიიღოს ვინმემ დისკუსიაში, მათ ძალიან ვთხოვთ, რომ შემოსაზღვრონ თავისი გამოსვლა სამი წუთით. ამგვარად, ბატონებო, დღის წესრიგი თქვენთვის ცნობილია და მე ეხლა მოგახსენებთ პირველ მომხსენებელს, რომელიც, ეს გახლავთ დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე, რომლის მოხსენების სათაური გახლავთ "ღვთაებრივი და ამსოფლიური სიბრძნე". გთხოვთ.

ბატონებო, ყველა უდავოდ დამეთანხმებით, რომ საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ და ეხლა ვთხოვთ გამომსვლელებს. გთხოვთ დავიცვათ რეგლამენტი. ვთხოვთ **პროფესორ მერაბ ჯიბლაძეს**. 5 წუთია რეგლამენტი.

მე ბატონმა ალექსიმ მთხოვა გამოვსულიყავი დიდი აფეთქების თეორიასთან დაკავშირებით, მე ვიქნები ძალიან მოკლე, იმიტომ რომ დრო არა გვაქვს. რა უნდა ითქვას, უნდა ითქვას, რომ მეცნიერება ყოველთვის ვითარდება. იბადება, ვითარდება და მრავალი მიმართულება კვდება კიდევაც. ბრწყინვალე თეორიებიც კი ჩვენ ვიცით, რომ თანდათან დახურულა, დამთავრებულა. ეხლა რაშია საქმე, როდესაც აფეთქების თეორია შეიქმნა, მაშინ მეცნიერების ის დარგი, როგორიცაა ფიზიკა, ძალზედ პოპულარული იყო. ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ძალზედ პოპულარული თეორია, აფეთქების თეორია. მე ძალზედ დამაინტერესა ერთმა ფაქტორმა, კი მაგრამ რატომ არის ეს ასეთი პოპულარული? რატომ იხარჯება ამდენი ფული ამ თეორიაში და ბოლოს მივაგენი იმას, რომ ეს თეორია, რომელიც ამბობს, რომ სამყარო შეიქმნა 13 ნახევარი მილიარდი წლის წინათ, ებრძვის ღმერთს, პირველ რიგში და ნებისმიერ რელიგიას, რომელიც არსებობს. იმიტომ რომ, თუ 13 ნახევარი მილიარდი წლის წინ შეიქმნა, მაშინ ღმერთი რა საჭიროა? არის სამყაროს დასაწყისი, უნდა იყოს მისი დასასრულიც და ამდენად ის საკმაოდ ფინანსურად მომძლავრებულია. ახლა რაშია საქმე, როდესაც დიდი აფეთქების თეორია შეიქმნა და განვითარდა, მაშინ მეცნიერების ის დარგი, როგორიცაა ოპტიკა, არ იყო ისე განვითარებული, როგორც არის ის დღეს და როდესაც ჩვენ ვუყურებთ ამ თეორიის საწყისებს, ვხვდებით, რომ მათ არ იცოდნენ ის, რომ არსებობს თურმე ინდუცირებული კომბინაციური გაბნევა. რომ არის კვანტური ოპტიკა, მისი მიღწევები და როდესაც ჩვენ უკვე დღეს განვიხილავთ ამ თეორიის განვითარებას, ვხედავთ იმას, რომ არის მნიშვნელოვანი შეცდომები თვითონ ამ თეორიის გააზრებაში. პირველ რიგში ეს ეხება წითელ წანაცვლებას, არ შეიძლება სპექტრის წითელი წანაცვლება მთლიანად მივაკუთვნოთ სიჩქარის დოპლერის ეფექტს. რას ნიშნავს? თუ სხეული ასხივებს, მაგალითად მწვანე სინათლეს და ამავე დროს ჩვენ გვშორდება, მაშინ ჩვენ ამ სინათლეს მივიღებთ წითლად, თუ ის ჩვენ გვიახლოვდება, მაშინ ჩვენ მწვანე სინათლეს, რომელსაც ის ასხივებს, ჩვენ აღვიქვამთ ლურჯად ან იისფრად. როდესაც გაზომეს, ეს პირველად გააკეთა ჰაბლმა, შორეული გალაქტიკებიდან წამოსული სინათლის სპექტრი, მათ ნახეს, რეალურად ნახეს, ეს წითელი წანაცვლება და დაასკვნეს, რომ ის გალაქტიკა გვშორდება. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო შორსაა გალაქტიკა, მით უფრო მეტად გვშორდება ის ჩვენ, მეტი სიჩქარით გვცილდება, უფრო მეტია წითელი წანაცვლება. მაგრამ შეიძლება წითელი წანაცვლების მხოლოდ დოპლერის ეფექტის განსაზღვრა? საქმე ისაა, რომ წითელი წანაცვლება არაა

მხოლოდ დოპლერით გამოწვეული, წითელი წანაცვლება ყოველთვის ხდება, როდესაც ხდება ფოტონების გაბნევა გარემოში. თქვენ კარგად იცით და ყველამ იცის ეს, მზე რომ ჩადის, წითლდება. სად არის აქ დოპლერის ეფექტი? რა, მზე გვცილდება? მაშინ გამოდის, რომ თუ ჩვენ ამ ყველა გაბნევას გავითვალისწინებთ, რაც არსებობს, მაშინ არავითარი გაფართოვება არ ხდება და, მით უმეტეს, ეხლა ნობელის პრემია მისცეს 2011 წელს 3 ამერიკელ მეცნიერს იმაში, რომ მათ დაადგინეს, თურმე არა მარტო ფართოვდება, არამედ აჩქარებით ფართოვდება. ეს არის ისეთი მტკნარი რაღაც სისულელე, რომელშიც ნობელის პრემიას აძლევენ. ე.ი. რამდენად უნდათ ამ თეორიის, დიდი აფეთქების თეორიის მხარდაჭერა.

ალექსი გერასიმოვის რეპლიკა:
ნობელის პრემიის ლაურეატობა, რა პრემიებიც გაიცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ 40% არასწორი იყო, არასწორ თეორიებში მიიღეს ნობელის პრემია.

გაგრძელება: მე დავამთავრებ, იმიტომ რომ მეშინია არ გამიგრძელდეს, ვიტყვი იმას, რომ რასაკვირველია ყველა თეორია ვითარდება, იზრდება და კვდება კიდეც. გარდა ერთისა, არის მუდმივი ღმერთი, მუდმივი სამყარო და არის მუდმივი დრო. ის მოდის უსასრულობიდან მდორედ და მიდის უსასრულობაში. ყოველთვის იქნება ისევე, ეხლა მე საერთოდ არ ვეთანხმები იმას რომ, ის კვანტია, და რაღაცა არის, დრო მიდის, მოდიოდა, მიდის ეხლაც და ყოველთვის ივლის ამ უსასრულო სივრცეში და ამ უსასრულო სივრცეში ყოველთვის იქნება ის გალაქტიკები, რომლებიც მოძრაობენ ქაოტურად და მართლაც ერთ-ერთი გალაქტიკა ჩვენს გალაქტიკას შეხვდება 5 მილიარდი წლის შემდეგ. უფრო მეტიც ჰარპმა გადაიღო გალაქტიკების შეჯახების სურათი, 60 სურათი, როდესაც გალაქტიკები ერთმანეთს ეჯახებიან. ასე რომ გალაქტიკები ისევე მოძრაობენ ქაოტურად, როგორც მოძრაობს მოლეკულები ჰაერში, ზოგჯერ ეჯახებიან, ზოგჯერ შორდებიან ერთმანეთს. ისე რომ, ყველაფერი ერთიან სისტემაშია და ამ სისტემაში ჩვენც, ჩვენი გალაქტიკა დაიბადა ოდესღაც, განვითარდა, ეს გალაქტიკა მოკვდება ისევე როგორც მზე დაიბადა, ვითარდება და 5 მილირდი წლის შემდეგ მოკვდება. ერთს გეტყვით მხოლოდ, აი მზე თუ შეიქმნა და შეიქმნა ის წყალბადისაგან, რასაც მეცნიერება ადასტურებს ხომ, მაშინ საიდან გაჩნდა ის ელემენტები, რომლითაც ჩვენ ვართ აღჭურვილები. დარწმუნებული ვარ, რომ 5 მილიარდი წლის წინ მზე იშვა უფრო დიდი ვარსკვლავისაგან, მოხდა ზეახალის აფეთქება და სწორედ იქ იყო ის ელემენტები, რომელიც მიმოიფანტა სამყაროში და შეიძლება მივიღოთ ის საინტერესო ამბავიც, რომ დედამიწა შეიქმნა ოდნავ უფრო ადრეც კი, ვიდრე მზე აინთებოდა. ესეც სრულიად მისაღებია. შეიქმნა დედამიწა, მზის მასა ძირითადად იყო წყალბადი, შეიკუმშა, მერე აინთო, იმიტომ რომ თერმობირთვული რეაქციები დაიწყო, ისე რომ არ არის ჩემთვის გასაკვირი ის, რომ დედამიწა შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე აინთო მზე. მადლობთ ყურადღებისთვის. მე ძალიან ვიჩქარე და არ ვიცი, ხომ არ გადავამეტე დროს.

სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა):

მოგესალმებით, თუ შეიძლება შევეხმიანები წინა გამომსვლელის საუბარს, ძალიან ბევრი კითხვა დატოვა ბატონმა მერაბმა. საღვთისმეტყველო თვალსაზრისით გავაშუქებ სამყაროს შექმნას ძალიან მოკლედ. მამები ბრძანებენ, რომ ღმერთმა სამყარო გამოიძახა არამყოფობიდან მყოფობაში, ანუ არაფერი არ არსებობდა, ღმერთმა ინება, ბრძანა და სამყარომ დაიწყო შექმნა.

როგორი იყო სამყაროს შექმნა, ამაზე უკვე მე ვერ მოგახსენებთ, ასე ვთქვათ. ამაზე მეცნიერებმა უნდა იმსჯელონ, ფიზიკოსებმა. ზოგი ამტკიცებს, რომ, აქ იყო საუბარი, როდესაც მამები ამას ბრძანებენ, საუბარია იმაზე, რომ ღმერთმა მატერია, საწყისი, ანუ პირველსაწყისი მატერიისა შექმნა და შემდგომ უკვე ის პროცესები, რომელსაც იხილავს მეცნიერება, ეს ყველაფერი არის პროცესები. მხოლოდ და მხოლოდ პროცესები, რაზედაც მეცნიერება საუბრობს. ყველაფერი და აქ შეიძლება იყოს ის დიდი აფეთქებაც, რატომ შეიძლება იყოს დიდი აფეთქება, რით გამოიძახა ღმერთმა სამყარო არამყოფობიდან მყოფობაში? გამოიძახა სიტყვით. "პირველად იყო სიტყვა", არ შეიძლება დავუშვათ ჩვენ, რომ ეს სიტყვა ღვთისა ბრძანა და ჩვენ დღეს თუ ვამბობთ, რომ სიტყვა, ადამიანის სიტყვა ეს არის ენერგია, არ შეიძლება რომ ენერგია, რომელიც ერთ დროს აფეთქდა, შემდგომ დაიწყო მან განვითარება, განვითარება როგორ? ზუსტად ამ ატომების, ნეიტრონების, პროტონების შეჯახებით, შეერთებით, გაყოფით, ჩამოყალიბებით და ეს ყველაფერი გრძელდებოდა მილიონი და მილიარდი წლების მანძილზე. შეიძლება თუ არ შეიძლება? მე ვერ გიპასუხებთ, ალბათ ამას მეცნიერებამ უნდა უპასუხოს. ასე რომ, მე ვფიქრობ, რომ საკითხები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ იყოს განხილული საღვთისმეტყველო მეცნიერებასთან ერთად. ყველა ეს საკითხი. ამას აკეთებდნენ წმინდა მამები, ასეთი შეერთება იყო მეცნიერებისა. მამა ზურაბს ვერ დავეთანხმები ორიგენეს თაობაზე, იმიტომ რომ ორიგენეს ძალზედ საინტერესო და დიდი მემკვიდრეობა აქვს და შეიძლება მისი სწავლების რაღაც ნაწილი იყოს უარყოფილი და არა მთლიანად, ასე ვთქვათ, ორიგენიზმი იყო გარკვეული ნაწილი მისი სწავლებისა, რომელიც არ მიიღო ეკლესიამ. თვითონ ორიგენეზე ასე ბრძანებს გრიგოლ საკვირველთმოქმედი, რომ ორიგენეო ბიბლიას გადმოსცემდა ისეო, როგორც ამას გულისხმობდაო ბიბლიის მწერალიო. ასეთი დახასიათება აქვს ორიგენეს და ორიგენეს რატომ შევეხე, იმიტომ რომ ორიგენემ პირველმა ჩამოაყალიბა, დამოკიდებულება წარმართულ მეცნიერებისადმი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ პირველად გვხვდება მის ნაშრომებში, ის აკეთებს დაყოფას იმ ლიტერატურისა, რომელიც შეიძლება იყოს მისაღები ღვთისმაძიებელისათვის და შესაძლებელია იყოს ის რაღაცა ნაწილი, რომელიც არ იყოს მისაღები. კიდევ ძალიან მარტივი, შეიძლება ითქვას, საღვთისმეტყველო გზა. ახლა სრულიად ზედმეტია, მე ვფიქრობ, რომ დავსვათ კითხვა, ღმერთი არსებობს თუ არ არსებობს? ღმერთი გწამთ თუ არა გწამთ. ეს ძალზედ პიროვნული საკითხია, ვერც თქვენ დამიმტკიცებთ, რომ ღმერთი არ უნდა მწამდეს და ვერც მე დაგიმტკიცებთ, რომ ღმერთი უნდა გწამდეთ, პიროვნული საკითხია და მე ვფიქრობ, რომ ამაში კამათი და დავა არაა მისაღები და გარკვეულად მოკლებულია აზრს, მაგრამ წმინდა წერილი ასეთ რამეს ბრძანებს, იმათთვის ვისაც აინტერესებს და დასვამს კითხვას, ღმერთი თუ არსებობს, როგორ შეიძლება მე დავრწმუნდე ღმერთის მყოფობაში? ბრძანებს, "ნეტარ არიან წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" თუ მე ვთვლი, რომ ეს ჩემთვის მისაღები გზაა, ამ გზას შემიძლია დავადგე და ეს უკვე გულის სიწმინდეა. ეს უკვე არის ასკეტური ღვთისმეტყველების ნაწილი, ასე რომ დავარქვათ, დოგმატური ღვთისმეტყველების. "რას ნიშნავს?" – ეს უკვე მეცნიერებაა, რა თქმა უნდა. ამიტომაც, თუ გვსურს, შეგვიძლია საღვთისმეტყველო გზით ვიაროთ და, მე ვფიქრობ, შედეგი უფრო უკეთესი იქნება ყველანაირად, კაცობრიობისათვის, ადამიანებისათვის, ზნეობრივად, გონებრივად, სულიერად და ყველანაირად უკეთესი შედეგი იქნება. მადლობთ.

ოლეგ ნამიჩეიშვილი, პროფესორი, ფიზიკოსი:

მოგესლმებით ბატონებო და ქალბატონებო, მეცნიერების საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიების დღევანდელმა მდგომარეობამ კაცობრიობას ცრურწმენა გაუჩინა, გაუჩინა რწმენა იმისა, რომ მეცნიერებას შეუძლია ყველაფერი. არადა მეცნიერება სინამდვილეში სინამდვილის კარიკატურას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალისტურ პორტრეტს. და იმისათვის, რომ წარმოვაჩინოთ, თუ რა დონეზე ასახავს სინამდვილეს დღევანდელი მეცნიერება, საკმარისია გავიხსენოთ ის წლები, როდესაც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია ამზადებდა პირველ ფრანგულ გამოცემას განმარტებითი ლექსიკონისა. თქვენ იცით, რომ მეცნიერებათა აკადემიის წევრებს საფრანგეთში ეძახიან "იმორტელ", რაც ნიშნავს უკვდავებს, აკადემიის 40 წევრია და თითოეულ აკადემიკოსს დაურიგეს სიტყვარი, იმ მეცნიერების სფეროდან, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. და ერთ-ერთ ბიოლოგს შეხვდა, სხვა სიტყვებთან ერთად, კიბორჩხალი და მან დაწერა განმარტება ამ ცნებისა, ისე როგორც ეს ლექსიკონში ჩაიფიქრეს ეს დაეწერათ, მაგრამ ვიდრე მიუტანდა აკადემიაში პრეზიდენტს, იგი თავის მეგობარ ალექსანდრე დიუმასთან მივიდა, რომელიც ძალიან განათლებულ ადამიანად ითვლებოდა და აი წაიკითხეო, მე დავწერე განმარტებაო. ამ განმარტებაში კიბორჩხალის თაობაზე ეწერა ასე: კიბორჩხალი ეს არის მცირე ზომის წითელი თევზიო, რომელიც პირუკუ დადისო. რას ფიქრობ შენ ამ განმარტებაზეო? დიუმამ გაიცინა და თქვა, რომ კიბორჩხალი თევზი არ არისო, მეორე, ის წითელი თევზი არ არისო, როგორც ორაგული და მესამე, არც პირუკუ დადისო და დანარჩენი ყველაფერი არაჩვეულებრივიაო. ე.ი. დაახლოებით ასთნაირად წარმოგვიდგენს რალობას დღევანდელი მეცნიერება. ზედაპირულად, როგორც პირველი შეხედვით ჩანს. ხშირად ჩვენს წინაშე სვამენ ასეთ შეკითხვას, მეცნიერება და რელიგია არის თუ არა თავსებადიო? ხომ არ შეიძლება ერთსადაიმავე საგანზე იყოს ორი საწინააღმდეგო რაღაც შეხედულება, ან ერთია სწორი, ან მეორეო. სინამდვილეში საქმე იმაშია, რომ ჩვენ საქმე გვაქს სხვადასხვა საგანთან, უფრო სწორედ, შეიძლება საგანი ერთიდაიგივეა, მაგრამ ამ საგნის შესწავლის სხვადასხვა ასპექტთან და აი ავიღით ასეთი მაგალითი, ვთქვათ მიდის გემი და დაგვისვეს ასეთი კითხვა, რატომ მოძრაობს ეს გემიო? შეიძლება ორი პასუხი მოვისმინოთ, პირველი პასუხი შეიძლება ასეთი იყოს, გემზე არის ატომური პატარა რეაქტორი, მისი საშუალებით ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება, ელექტროენერგია კვებას ელექტროძრავებს და ეს ელექტროძრავები ამოძრავებს ხრახნილ ლატოკს და ამიტომ გემი მოძრაობს. ეს არის მეცნიერული, ასე ვთქვათ განმარტება და პირველი პასუხი ამ შეკითხვაზე. ახლა მეორე პასუხი, ეს გემი დაქირავებულია ერთერთი ფირმის მიერ და მას გადააქვს ხორბალი ამერიკიდან ევროპაში და ამიტომ მოძრაობსო, აი ეს არის რელიგიის პასუხი, ე.ი. ერთსადაიმავე შეკითხვაზე ჩვენ შევისწავლეთ საგანი 2 სხვადასხვა მხრიდან. ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, სხვადასხვა მხარეები არის შესწავლილი. ე.ი. მეცნიერება, როგორც წესი პასუხობს შეკითხვაზე, რატომ? და რელიგია პასუხობს შეკითხვაზე, რისთვის? ძალიან ხშირად გვავიწყდება ასევე ის რომ, მეცნიერება მაშინ იწყებს განვითარებას, როცა მას შეუძლია შეკითხვის დასმა, მაგრამ თუ რაღაც არის იდუმალებით მოცული და შეკითხვის დასმა არ შეუძლია, იქ მეცნიერება სრულიად უძლურია, მაგალითად ავსტრალიის აღმოჩენამდე თქვენ ვერ დასვამდით კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გრძელდება კენგურუს ორსულობა, იმიტომ რომ ავსტრალიის აღმოჩენამდე მსოფლიოში საერთოდ არ იცოდნენ, რომ ჩანთოსანი ცხოველები არსებობენ. და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ სრულიად მართალი იყო გამოჩენილი ფიზიკოსი პლანკი, როდესაც ამბობდა,

რომ რელიგია მეცნიერების გარეშე არის ბრმაო, ხოლო მეცნიერება რელიგიის გარეშე არის კოჭლიო. მადლობთ.

რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე:

ვეცდები რომ მოკლედ მოგახსენოთ ჩემი სათქმელი, აქ იმდენი კითხვა გაჩნდა, რომ თითო კითხვაზე პასუხის გაცემაზე ჩვენ ალბათ ერთი თვე არ გვეყოფა. თან კიდე უნდა წავიკითხოთ ბევრი რამ, ესეც არ იქნება საკმარისი. მე მხოლოდ შეიძლება ერთ-ორ საკითხზე შევჩერდე. აქ ითქვა დროზე, დროის ფარდობითობაზე და საერთოდ იდუმალებაზე. რა არის დრო, მოციქული ამბობს ღვთის შესახებ, რომ მის მიერ შეიქმნენ საუკუნენიო, ანუ ისიც ერთ-ერთი ქმნილებაა ღვთისა. როგორც ყველა ქმნილება მიუწვდომელია, ასევე მიუწვდომელია დრო თავისი არსით. შეიძლება ითქვას, რომ ფარდობითია, გააჩნია რა სისიტემაში მოვიაზრებთ ჩვენ დროს. ვთქვათ, როცა ბიოლოგიას ვეხებით, ზრდის პროცესი, იმას თავისი დრო აქვს, თავისი ეტაპები აქვს,მაგრამ ჩვენ ვზომავთ ჩევნს დროში, იმას თავისი დრო აქვს. ასე ვთქვათ, ჩვენ იმ სისტემიდან არ ვზომავთ, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესები. იდუმალებითაა მოცული ყველა ქმნილება, ჩვენ თუ გავიხსენებთ ისევ ბიბლიას და დავაკვირდებით ცოტა სიტყვებს, რომელიც ეხება სამყაროს შექმნას, ჩვენ დავინახავთ ერთ რამეს, რომ შემოქმედების დღე იწყება მწუხრით, “იქმნა მწუხრი, იქმნა განთიად, დღე ერთი” ამ მთლიანობაში მოქმედებს. მწუხრსა და განთიადს შორის არის ღამე. ე.ი. შემოქმედების დღე, როდესაც ქმნის, სიბნელით არის მოცული. ეს არის ღვთის შემოქმედის მიუწვდომობა კაცისადმი. მერე ნათქვამია, რომ იქმნა ნათელი და გაიყო ბნელი და ნათელი ერთმანეთისგან და ნათელს ეწოდა დღე და ბნელს ეწოდა ღამე. აი ხედავთ, რომ ერთიდაიგივე სიტყვა დღე, ერთ შემთხვევაში აღნიშნავს პროცესს მწუხრიდან განთიადამდე ღამეს, მეორე შემთხვევაში ნათელს, მაგრამ თუ გავაგრძელებთ კითხვას, ვხედავთ რომ ისევდაისევ მომდევნო დღე მეორე, მესამე “მწუხრი განთიად, დღე მეორე, დღე მესამე” და განთიადიდან მწუხრამდე, როცა ნათელი არის, ჩნდება უკვე ქმნილება. ის ჩანს უკვე, რაც შექმნა, მაგრამ როგორ შექმნა, ესაა იდუმალებით მოცული, მიუწვდომელი, რაც უფრო ვცდილობთ მივუახლოვდეთ, ნეტარი ავგუსტინე ამბობს. აქ უკვე გაიუღერა, ეს სხვა მეცნიერებმაც ახსენეს, როცა ჰკითხეს ეინშტეინს რა არის დრო, მან უპასუხა, რომ მე კარგად ვიცი დრო, მაგრამ ვერ აგიხსნით, რა არის ის. რაც უფრო ფიქრობ, მით უფრო ვხვდები, რომ არ მესმის, ეს რა არის. როცა არ ვფიქრობ, მაშინ მესმის, რა არის. ეს არის ესეთი პარადოქსი და მინდა ამასთან დაკავშირებით ვთქვა, რომ როდესაც ჩვენ ვითვლით სამყაროს ასაკს და ვიშველიებთ ბიბლიის ამ 6 დღეს შემოქმედების და მომდევნო ადამის შექმნიდან დღემდე რამდენი წელი გავიდა, ჩვენ ვუშვებთ ერთ შეცდომას, რომ შემოქმედების დღის ხანგრძლივობა წერილში არ არის მითითებული. დრო ფარდობითია, იქ არის მხოლოდ მწუხრი, განთიადი. ამით განისაზღვრება დრო, ანუ დასაწყისი და დასასრული შემოქმედებისა, მაგრამ რამდენ ხანს გრძელდება ეს, ჩვენ არ ვიცით. პირობითად წმინდა მამები ამბობენ, რომ როგორ 24 საათია დღე ღამეში და აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული, ამ გაგებით ჩვენ შეიძლება შევადაროთ, მაგრამ რამდენ ხანს გრძელდება ეს, ეს ჩვენთვის არის ისევ მიუწვდომელი. ამიტომ 5

მილიარდია, 13 მილიარდია, ერთი მილიარდია თუ 7 დღეა, ამაზე არ მსჯელობს ბიბლია. ის გვეუბნება, რომ ადამის შექმნიდან ამდენი გავიდა. ამ აღმოჩენებთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო, ერთი მილიონი წლის წინ იყო ადამიანი თუ 2 მილიონი წლის წინ იყო ადამიანი, გენეტიკოსი თუ ვინმე არის აქ, ალბათ დამეთანხმება, რომ უკვე დადგენილია, გარკვეული მეთოდით შესწავლილი, რომ ყველა ადამიანს ჰყავს ერთი დედა და ერთი მამა. მიტოქონდრიული დედა და ასევე ადამზე არის ქრომოსომული ადამი. პირობითად ბრჭყალებში წერენ, მაგრამ აღიარებენ სწორედ იმ ჭეშმარიტებას, რასაც ბიბილია ამბობს, რომ ერთი საწყისიდან მოდის ყველა ადამიანი და როდესაც თაობათა მონაცვლეობამ გამოთვალა და დაადგინეს გენეტიკოსების მეთოდით, 180 000 წელს ვერ გაცდნენ. ქვევით ზღვარი არ ვიცით, მაგრამ 180 000-ის ზევით თვლიან რომ იქ ადამიანი არ არსებობდა. ანუ ის არსება, რომლითაც ის უწოდებენ მიტოქონდრიულ ევას და ქრომოსომულ ადამს მაქსიმალურად შეიძლება იყოს 180 000წლის წინ, ხოლო მინიმალურად ჩვენ არ ვიცით და ესეც ისევ ეხება დროის ფარდობითობას. კარგად ითქვა, რომ დრო მყისიერია, ჩვენ ამ დროში ვართ და ჩვენ შეგვიძლია ამაზე რაღაცნაირად მიახლოებით ვიმსჯელოთ, მაგრამ რა იყო და რა იქნება ღვთის გარეშე, ჩვენ ეს არ გვეცოდინება. თუ უფალმა არ გამოგვიცხადა, ჩვენ არ გვეცოდინება. და ის შემეცნებითი საკითხი იდგა, რომ ბრძანა ბატონმა ალექსიმ რომ, სამოთხიდან გამოდევნის დროიდან დაიწყო მეცნიერება. გეთანხმებით, მაგრამ, რომელი მეცნიერება? ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნებით შემეცნება სამყაროსი. სამოთხეში ადამს ჰქონდა მჭვრეტელობითი, ის ჭვრეტდა არსს და როდესაც ნათქვამია, ადამმა სახელი უწოდა ყველა ქმნილებას, შეიმეცნა, მაგრამ ეს ჭვრეტითი შემეცნება არის ის, რომ ფრაგმენტულად ვლინდება წინასწარმეტყველთა მოღვაწეობაში. უფალი უცხადებდა მათ, ისინი ჭვრეტდნენ საუკუნეებში, როგორც რეტროსპექტულად ისე პერსპექტულად. როგორც მოსე არ ესწრებოდა სამყაროს შექმნას, მაგრამ თქვა, იმიტომ რომ ღმერთმა გაუხსნა მას ეს სივრცე და მოკლედ დაანახა. აი, ეს იყო, ასევე იქნება მომავალში, როგორც იქნებოდა. როდესაც ნოე აკურთხებს თავის შვილებს წარღვნის შემდეგ, აძლევს კურთხევას სემს, "კურთხეულ არს ღმერთი სემისა" იაფეტს ეუბნება,
"განივრცოს იაფეტი და დამკვიდრდეს სემის კარვებში", ხოლო ქამს აძლევს კურთხევას, რომ იყოს მონა თავისი ძმებისა სემისა და იაფეტისა. კურთხევა ზეცასთან კავშირია ამქვეყნის ზეცასთან კავშირია. კურთხეულია ის, ვის მიერაც იკურთხება ყოველი ტომი ქვეყანისა. მაცხოვარი, მხსნელი, რომელიც მოევლინა ქვეყანას კაცობრიობის ხსნისათვის. ის განცხადდა სემის მოდგმაში,"კურთხეულ არს ღმერთი სემისა" განივრცო იაფეტი მთელ მსოფლიოში, იაფეტის მოდგმა და ჭეშმარიტი რწმენა ქრისტიანობა გავრცელდა ამ მოდგმაში, ხოლო ქამის შთამომავლობა მორჩილებით, თუ მონობით თუ გარკვეულად ამ დაქვემდებარებით ამ ცივილიზაციების მიმართ, ისიც თანაზიარი გახდა ქრისტიანობის. ეს ეხება ყველას, ზანგები იქნებიან თუ აღმოსავლეთში მცხოვრები ანუ კურთხევა ყველა ადამიანისა ქრისტეს მიერ მოხდა აი ამ გზით, მაგრამ ეს ითქვა წარღვნის შემდეგ, ეს სიტყვა, მაგრამ განხორციელდა რამდენი ათასი წლის შემდეგ. აი ესაა ჭვრეტითი შემეცნება როგორც წარსულის, ისე მომავლის. მაგრამ ჩემთვის ეს მიუწვდომელია, თუ ღმერთმა არ გამოგვიცხადა, შენ არ გეცოდინება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მეცნიერული მეთოდებით ეტაპობრივად, მისხალ მისხალ რაღაც შევიმეცნოთ, მაგრამ რაც უფრო შორს მივდივართ, მერე უარვყოფთ, რაც უკვე შევიმეცნეთ. ვამბობთ რომ ის არ არის საკმარისი, უარყოფილია. ფარდობითობის თეორია, ნიუტონის კანონი, შემოიფარგლა, რომ ამ ფარგლებში მოქმედებს და იმის იქით არა. მეცნიერება კი არ უარყოფს, არამედ აფართოვებს, მაგრამ მიუწვდომელია ღმერთი და მიუწვდომელია სამყარო, მეცნიერების განვითარება დაუსრულებელი პროცესია

და ამ პროცესში რელიგიის და ჭეშმარიტი სარწმუნოების მისია არის სწორედ იმაში, რომ მიანიშნავს რა მიმართულებებით მეცნიერების განვითარება საზიანო იქნება კაცობრიობისთვის. ეს იქნება ეკონომიური კატასტროფა, თუ დემოგრაფიული კატასტროფა, თუ სხვა რამე კატასტროფები, ამიტომ თანამშრომლობა მეცნიერების და რელიგიის აუცილებელია. მადლობთ

პროფესორი გიორგი ბადათურია:

მოგესალმებით ბატონებო, ძალიან საინტერსო მოხსენებები იყო. მადლობა ბატონ ალექსის და დეკანოზ ზურაბს, მაგრამ სადღაც მეჩვენება, რომ დღევანდელ დღეს ჩვენ რაღაც ღია კარბს ვანგრევთ, იმ გაგებით, რომ ცხადია ყველამ ვიცით, რომ ცოდნით ჩვენ რწმენას ვერ შევიძენთ, ფაქტობრივად 2 სხვადასხვა რამაა. მე ვიძახი რაციონალური ცოდნით, მაგრამ რაღაცის გაკეთება შეიძლება რაციონალური ცოდნით და აი ჩვენი საზოგადოება არის კრეაციული საზოგადოება, საპატრიარქოსთან არსებული, სადაც ჩვენ, ჩვენი კოლეგები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ბიოლოგები ვცდილობთ, რომ დავამტკიცოთ არა სამყაროს შექმნა, რა თქმა უნდა, არამედ დავამტკიცოთ ის, რომ სამყარო შეუძლებელია განვითარებულიყო ევოლუციური გზით. ჩვენ ასეთი პოსტულატი შემოვიტანეთ თავიდან, რომ ეს სამყარო შეუძლებელია შეიქმნას ან წარმოიქმნას 2 შესაძლო გზით. ან ღმერთმა შექმნა, როგორც ჩვენ ვიცით, ან ის წარმოიქმნა, ათეისტური თვალთახედვით ევოლუციური განვითარებით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, ევოლუციური განვითარების, ასე ვთქვათ, 2 სახეობა არსებობს. ათეისტური, რომელზეც მამა სერაფიმე როუზი ამბობს, რომ სრული სიგიჟეა, მაგრამ არსებობს, ასე ვთქვათ, რელიგიურ ხალხში, ისეთი მოსაზრება, რომ ევოლუციურად განვითარდა სამყარო, მაგრამ ეს ღმერთის მიერ დაწესებული პროგრამა იყო და ამბობენ, რომ ევოლუციურად განვითარდა. ჩვენს საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ეკლესიასთან თანამშრომლობით, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ეს შეხედულება, უხერხულია ვთქვა, მაგრამ დიდი უმეცრებაა, არავითარი ევოლუციური განვითარება. როგორც ბატონმა ალექსიმ ბრძანა, ტერმინი უნდა ვთქვათ ჩვენ, რას ნიშნავს ევოლუცია. ევოლუცია ეს არის, თუ ვიტყვით ჩვენ, ორგანიზმის უნარი თავისთავად განვითარდეს და შეიცვალოს თავისი ორგანიზება მარტივიდან უფრო რთულისკენ და როგორ დავამტკიცოთ ეხლა ეს. მარტივად გეტყვით ეხლა, დრო არ გვაქვს ამისი, შემოვიღეთ, ასე ვთქვათ, ვიყენებთ მეთოდს უარყოფის უარყოფის კანონი. ჩვენ ვუშვებთ 2 შესაძლებლობას და რაკი ვერ გავიმეორებთ ფაქტს სამყაროს შექმნისას, ამიტომ ვარაუდობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ევოლუცია არსებობდეს, გნებავთ ღვთივდაშვებული, გნებავთ ათეისტური. ცხადია სიგიჟეა, მე გითხარით და შემოვიტანეთ ასეთი 2 ცნება: საკმარისი და აუცილებელი პირობები, მეცნიერებაში ფაქტიურად ცნობილი. რა აუცილებელი პირობები უნდა იყოს იმისთვის, რომ ევოლუცია შესაძლებელი იყოს, ევოლუციური განვითარება და ჩვენი აზრით, ეს პირობებია, პირველი სამყაროს მრავალწლიანი ასაკი და ამ დებულებასაც ძალიან მარტივად უარვყიფთ. სამყარო არ არის მრავალი მილიარდი წლის და ის არის ხილული სამყარო, ვთქვათ, იმ ასაკის, როგორც მითითებულია წმინდა ნაწერებში

და შეიძლება ჩვენ სხვა რაღაცეები ვთქვათ აქვე და მეორე, ბუნების კანონები, რომელიც უნდა იძლეოდნენ შესაძლებლობას ვთქვათ კონკრეტულად ერთი სახეობის ცხოველი შეიძლება გარდაიქმნას მეორე სახეობის ცხოველად. ე.ი. აქ ის პირობა სრულდება და შემიძლია უამრავი მაგალითი მოგიყვანოთ, ეხლა ამის დრო არ გვაქვს და გარდა ამისა, ვთქვათ, რომ ეს აუცილებელი პირობა სრულდებოდეს, უნდა იყოს საკმარისი პირობა, უნდა იყოს ამ აზრის დამადასტირებელი ფაქტი. ეს ფაქტები არაა. ასე რომ, ჩემი აზრით, შეიძლება აქ ძალიან ცნობილი მეცნიერები არიან და უხერხულიცაა ასე მარტივად ლაპარაკი, მაგრამ ჩემი მარტივი აზრით, ფაქტობრივად, სრულიად უარყოფილია ევოლუციის არსებობისათვის საჭირო აუცილებელი და საკმარისი პირობები. ამრიგად, ისევ ვიძახი სამყაროს განვითარება არ ყოფილა ევოლუციური გზით. ბოდიშს ვიხდი, რომ მოკლედ მოგახსენეთ, ჩვენ ვატარებთ ხოლმე სხდომებს კრეაციული საზოგადოებისა და სიამოვნებით გეპატიჟებით ამ სხდომებზე. მადლობთ. რამდენად დამაჯერებელი იყო ორი სიტყვით აზრის გადმოცემა, ეს ძნელია, მაგრამ აი ასეთია ჩვენი პოზიცია. დიახ. მადლობთ.

არქიმანდრიტი ადამი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი:

> პრობლემა, რომელსაც ჩვენი დღევანდელი დისკუსია მიეძღვნა, ჟღერს ასე: "სარწმუნოება და მეცნიერება" და ყველაზე მნიშვნელოვანი არის, ჩვენი აზრით, სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების გამოკვლევა, თორემ ისეც ხდება, რომ ჩვენ ვმსჯელობთ ამაზე და ინერციულად ისევ ვცდილობთ დავარწმუნოთ ვინმე იმაში, რომ საჭირო და აუცილებელია, როგორც ცოდნა, ისე რწმენა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს დარწმუნება ხშირად სწორედ ან ერთი ან მეორე მხარის მეთოდებით არის გამაგრებული. ჩვენ კი ვლაპარაკობთ იმაზე, რომ აუცილებელი არის სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლმხედველობათა ინტეგრაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად დავდგებით ან ერთ ან მეორე ნაპირზე და უფრო ნაყოფიერი იქნება დისკუსია. და მაინც რა არის მთავარი, ჩვენი აზრით, სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებაში და რა სახისაა ეს პრობლემა, მსოფლმხედველობრივი. ეს ახალი აღმოჩენა არაა, დღეს უკვე ნახსენებ პარადიგმებზე და პარადიგმათა ცვლილებებზე მსჯელობდა თომას ქუინი ამბობდა, რომ სწორედ ეს არისო ჩვენი შეცდომა, რომ ხშირად ჩვენ გვგონია, როდესაც მეცნიერების საგანს ვირჩევთ, როდესაც ვატარებთ ექსპერიმენტებს და ვსწავლობთ, ვართ ძალიან ობიექტურები, მაშინ როდესაც ჩვენ სინამდვილეში შეიარაღებული ვართ ამა თუ იმ თეორიით, მსოფლმხედველობით და სწორედ ასე ვუყურებთ ამ საგანს. ამიტომაც არის, რომ ის ადამიანები რომლებიც შესისხლხორცებულად განიცდიან ევოლუციურ თეორიას, ძნელად გამოდიან მისი გავლენიდან, ის ვინც მატერიალისტური იდეებით იყო მთლიანად შეიარაღებული და არათუ იდეალისტური, არამედ უბრალოდ ფილოსოფიური მსჯელობაც მისთვის უცხოა, ამ შემთხვევაში მას უჭირს საგნების ხედვა, თორემ დღეს ალბათ უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, მეცნიერებაში ყველაზე დიდი მიღწევა მაინც არის ტრანსდიციპლინური კვლევები, რაც ნიშნავს იმას, რომ არ

არის საკმარისი მარტო ან საბუნებისმეტყველო აზროვნება ან ჰუმანიტარული აზროვნება, ან ფილოსოფიური, მხატვრული. აზროვნების თეოლოგიური მსოფლმხედველობის გარეშე ყველაფერი ეს დარჩება გუშინდელ დღედ, იმიტომ რომ ხშირად ჩაკეტილი ვართ ლაბორატორიებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ჩვენ გვქონდა რამოდენიმე წლის წინ მოხსენება, რომელსაც ერქვა "რწმენა და ცოდნა" და აი ჩვენი დღევანდელი მონაწილეობა ამით შემოისაზღვრება, რომ მაშინ ჩვენ ერთი ჩვენი მეგობრის მიერ მოწოდებული პატარა ვიდეომასალა წარმოვადგინეთ და აი ამ მასალას წარმოგიდგენთ ეხლა. ვიდეომასალა ძალიან მცირეხნიანია, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავი. გვიხდება რა ჩვენი სამედიცინო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, ჩვენ ვფიქრობდით, რა შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, რომ ყველაფრის ხედვა ერთდროულად ამ ორი მსოფლმხედველობითაა საჭირო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაზე საუკეთესო მაგალითი ამისა არის პატარა უჯრედი და უჯრედს ვუჩვენებდით ყოველთვის და განსაკუთრებით სტუდენტ ახალგაზრდობას. ყველაფერი ისე განვითარდა, რომ უფრო უკეთესი თვალსაჩინოება შეიქმნა და ეს მასალაც თანდათან განვითარდა. სჯობს ჩავრთოთ და მე იმ ტექსტს წავიკითხავ ეხლა, რომელიც მაშინ წავიკითხე, სპეციალურად დღევანდელი სემინარისთვის არაა დაწერილი: "და ბოლოს მე მინდა წარმოგიდგინოთ ის, რასაც ლექციებისა და დისკუსიების დროს ვუჩვენებთ ჩვენ სტუდენტებს, კოლეგებს, მრევლს. უჯრედი, საოცრებათა საოცრება. კიდევ უფრო დიდი საოცრებაა ის, რაც უჯრედში შიგნით ხდება. მას ვერ შეედრება ვერც ეგვიპტური პირამიდები, ვერც სემირამიდის ბაღები და ვერც ალექსანდრიის შუქურა. აკი ციდა უჯრედი თავადაა შუქურა, რომელიც ადამიანს ურწმუნოების ოკეანეში რწმენის ნაპირისაკენ უჩვენებს გზას. კარგად დააკვირდით ამ ცოცხალ უჯრედს, იგი ნამდვილი მიკროკოსმოსია, იგი შემოქმედი ღმერთის სასწაულებრივი ქმნილებაა, იგია დასტური კრეაციონიზმის ერთადერთი ჭეშმარიტებისა, ღვთის არსებობისა და იგი შეიძლება გახდეს გზის გამკვლევი გონიერი გულისთვის, რომელშიც უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე დაიმკვიდრებს. აქვე დიდი პავლოვის სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენ, რომელთაც ხშირად იმოწმებს ჩვენი დიდი სულიერი მამა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი "მოწოდებით მოგმართვთ ყველას, ვისაც კი თანამედროვე სამყაროში მეცნიერებასთან რაიმე შეხება აქვს. დააკვირდით და შეისწავლეთ უჯრედი. აწ უკვე ახლებული ხედვით, წრფელი და გონიერი გულით და ეინშტეინისეული სურვილით დაინახოთ ჭეშმარიტება. ამგვარად, შეისწავლეთ უჯრედი და თქვენ არათუ მორწმუნე, წმინდანიც შეიძლება გახდეთ. მადლობთ ყურადღებისათვის.

პროფესორი ნოდარ ნათაძე:

ბატონებო, მე მინდა განგიმარტოთ რამდენიმე არგუმენტი, თქვენ რაც ბრძანეთ მეცნიერების შესაძლებლობათა შეზღუდულობის შესახებ, ფილოსოფიის სფეროდან. ეს არის ჭეშმარიტებები, ანუ ისეთი მიდგომებია, რომლებიც

დღესდღეობით მუშაობს და ნაყოფს იძლევა. პირველი, თანამედროვე ფილოსოფიამ იცის, ძველმა არ იცოდა, რომ ადამიანს აქვს უზარმაზარი აპრიორი, ანუ უზარმაზარი წინასწარ ჩანერგილი კითხვები, რომლითაც ის მიდის გარემოსთან და საერთოდ გარე სამყაროსთან. ეს კითხვები მუშაობს პირველივე შემეცნებითი აქტის დროს, აღქმის დროს. მე რომ საგანს ვხედავ. მე იმ საგნისადმი უამრავი კითხვა მაქვს, რომელზეც ეს აღქმავე პასუხობს. არა მარტო ის რა ფერია და რამოდენაა, არამედ აუარებელი კითხვებია. ანუ პარამეტრებს, რომლითაც ჩვენ სამყაროს ვუყურებთ, ჩვენ ვირჩევთ. ჩვენი ნების გარეშე, ეს ჩვენში ჩადებულია. ეს არის ერთ-ერთი უზარმაზარი შეზღუდვა ადამიანის შემეცნებით შესაძლებლობებზე. მეორე, რაც შეეხება მეცნიერების ენას, არსებობს ასეთი ტერმინი ოსტენსიური მნიშვნელობა, ანუ თითის ტაკებითი, რა არის ეს, მე თითს ვატაკებ, აი ესე. კიბორჩხალას მაგალითი რომ იყო მოყვანილი, მე რომ მინდა ბავშვს ავუხსნა, რა არის ძროხა, მე არ ვეუბნები, რომ ძროხა არის ცხოველი და ა.შ. გავიყვან მინდორში, აი ეს არის ძროხა, ეს არის ცხენი, აქლემი, ეს არის ვირი. ეს არის მთელი შემეცნება. თურმე რა არის აქ მნიშვნოვანი, ყველა მნიშვნელობა, რაც არსებობს ენაში, ტერმინების ჩათვლით, მოიცავს ოსტენსიურ ელემენტს. ანუ რომ დაშლიან, მნიშვნელობას, რომ დაქსაქსავ, აღმოჩნდება, რომ რაღაცა არის პირველადი. ამის მაგალითია ვთქვათ, მე რომ ვიცი, რა არის ტკივილი და ვიცი, რა არის სიხარული. მე ვერავინ ვერ ამიხსნის, რა არის სიხარული, ამას ჩვენ ვიძენთ კონტაქტიდან, სხვა ადამიანებთან კონტაქტიდან. ეხლა რა არის ჰუმანიტარული ცოდნის როლი ღმერთსა და ადამიანს შორის, უფრო ზუსტად ღმერთსა და ადამიანის შემეცნებას შორის. არის ასეთი გამოთქმა, რომელიც ეკუთვნის ნეტარ ავგუსტინეს, მეხუთე საუკუნეში, “საკმარისია ღრმად ჩავიხედო ჩემს თავში, რომ იქ ღმერთს აღმოვაჩენ”. ასეთი ფორმულირება აქვს მას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანში არის პარამეტრები, ადამიანის შინაგან ცხოვრებაში არის პარამეტრები, რომლებიც ღმერთის წარმოდგენების, ღმერთის ცნების, ღმერთის განცდის გარეშე უბრალოდ მოუაზრებადია და ვინც დღეს რელიგიას ებრძვის, გააზრებულად, მსოფლიო მაშტაბით, შეგნებულად, დაგეგმილად, ვინც რელიაგიას ებრძვის, იმან იცის, თავის სიღრმეში, თავის სულში ყოველი ადამიანი როდესღაც იხედება, ცოტა რჩება ისეთი, რომელიც არ ჩაიხედავს, ამიტომ ისინი მიზნად ისახავენ, ადამიანმა თავის სიღრმეში არ ჩაიხედოს და ამ პრობლემას ანხორციელებენ, კონკრეტულად, ადამიანს არ ჰქონდეს თავისი სიღრმე. ვიცით ტელევიზია რა არის, ვიცით ნიველირების ღონისძიება რა არის, ეს მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანში ამ სიღრმის ატროფირება მოხდეს. მე პირადად ასეთი გამოთქმა მქონდა, რის სოლჟენიცინი, ის ვიღაცა, ვიღაცა, ყველაზე ანტისაბჭოთა მწერლები არიან შექსპირი, ჰომეროსი, ვაჟა-ფშაველა, გოგებაშვილი და სხვანი და სხვანი. ე.ი. ჰუმანიტარულ კულტურასთან ბრძოლა არის ამ მიმართულების არსი და ბუნება. რა შიეძლება ამას დავუპირისპიროთ? ადამიანში ამ სიღრმის განვითარება. მეთოდურად, ასე ვთქვათ, კვლევის თვალსაზრისით, შეგიძლია მიუთითო, ადამიანის სულში, ადამიანის ბუნებაში არის ასეთი და ასეთი კითხვები, ასეთი და ასეთი პარამეტრები, კონკრეტული პარამეტრები, რომლის სიცარიელე რჩება ღვთის წარმოდგენის ან განცდის ან მოშველიების გარეშე. მაგალითად წარმოიდგინეთ, ხარ სარდალი, გაბარია 1000 კაცის სიცოცხლე და გამარჯვება გევალება ამ ბრძოლაში. ქართველი ხარ და შუა საუკუნეებში ცხოვრობ, ან ადრე ცხოვრობ. შეგიძლია შენ ისე დაგეგმო და ჩაატარო ეს ბრძოლა, რომ ღმერთს არ შეევედრო? არ შეგიძლია, არავინ არ იტყვის რომ შეგიძლია. კი ბატონო, მე შემიძლია ჩემი სიცოცხლე დავდო სასწორზე და ღმერთს არ შევევედრო, უმრავლესობა შეევედრება ასეთ შემთხვევაში. ყველა არ შეევედრება, იტყვის, ეს არ არის ისეთი თემა, რომელზედაც მე ასეთ მაღალ ინსტანციას უნდა მივმართო, მაგრამ როცა

სხვისი ბედია მის ხელში და ქვეყნის ბედი, შეუძლებელია არ შეევედროს. ასეთი სიტუაციები ბევრია. ასეთი სიტუაციების, ასე ვთქვათ დემონსტრირებით, პირდაპირ კითხვარებით, ამას როგორ უპასუხებ, არც ერთი ადამიანი არ გეტყვის, რომ არ შეევედრებიო. ასეთი სიტუაციით შეიძლება დამტკიცება ღვთის ადგილისა ადამიანის სულში. ანეგდოტივით არსებობს, კამათობენ პოზიტივისტი ბუნებისმეტყველი, ვთქვათ ფიზიკოსი და ღვთისმსახური. პოზიტივისტი ეუბნება, მე შენი საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს, მაგრამ მე ვითხოვ დასაბუთებულ ცოდნას, ექსპერიმენტულ ცოდნას. მე რასაც მთავაზობ, ის არის რწმენა, რწმენა არ მყოფნის, მე მინდა ცოდნა. ის გპასუხობს, შენ რომ აქ შაურიანს გააცხელებ და შაურიანი გაფართოვდება და შენ რომ ვარაუდობ, რომ იქით გალაქტიკაში რომ გააცხელო შაური, იქაც გაფართოვდება, რატომ ფიქრობ მაგას? იმიტომ რომ, შენ ამოდიხარ პოსტულატიდან, რომ სამყარო არის ერთგვაროვანი. არის კი ერთგვაროვანი? ყოფილხარ იქ? ან გაგიცხელებია? ე.ი. შენთვისაც ეს არის რწმენა, ისევე როგორც ჩემთვის. რით სჯობია შენი რწმენა ჩემს რწმენას? ამ მიმართულებით ჰუმანიტარულ ცოდნას და ჰუმანიტარულ მეთოდიკას ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს. ამის თქმა მინდა მე. მადლობთ.

პროფესორი თემურ ლეჟავა:

მოგესალმებით ყველას და მადლობას მოგახენებთ საინტერესო მოხსენებებისთვის. ჩემთვის ძალიან ბევრი ახალი გახლდათ და მე მივიღე დიდი სიამოვნება. რაც შეეხება გენეტიკას, მე გენეტიკოსი გახლავართ და მე ვისაუბრებ, რა თქმა უნდა გენეტიკაზე. აქ იყო წარმოდგენილი, რომ გენეტიკოსი მენდელი, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი გენეტიკას, გახლდათ ბერი. როდესაც დაასრულა თავისი სიცოცხლე და ასაფლავებდნენ, მას მიყვებოდა ხალხი და იცოდნენ, რომ ეს არის მხოლოდ რელიგიის წარმომადგენელი და არავითარი მეცნიერი, იმიტომ რომ მან უარყო ბოლოს თავისი ცდების შედეგები. მენდელმა ჩამოაყალიბა გენეტიკა. გენეტიკა, მოგეხსენებათ, ეს არის მეცნიერება მემკვიდრეობისა და ცვალობადობის შესახებ. ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრეობა, მოგეხსენებათ, მოიცავს სტრუქტურულ და ფუნქციურ ინფორმაციას და საინტერესოა, რომ სტრუქტურული ინფორმაცია წარმოდგენილია გარკვეული მოლეკულების, მას ვუწოდებთ ჩვენ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას, რომელიც შედგება გარკვეული აგურებისაგან, რომლებსაც ნუკლეოტიდებს ვუწოდებთ და აგურთა რაღაცა ნაწილი 1000-1500 წარმოადგენს ფუნქციურ ერთეულს, წარმოადგენს გენს. გენეტიკა საფუძველია ბიოლოგიის და ასევე მედიცინის, შესაბამისად წამყვანი მეცნიერებაა. აქ რომ საუბრობენ მეცნიერებაზე, ყოველთვის რაღაც უხერხულობა მიჩნდება. მეცნიერების დიფერენცირებაა აუცილებლად საჭირო. აქ გამოყოფილი უნდა იყოს ფიზიკა, ბიოლოგია, ბიოლოგიაში კი – გარკვეული განხრები. დავუბრუნდეთ ისევ გენეტიკას. გენეტიკა სხვა მეცნიერებებთან შედარებით ძალიან ახლოსაა რელიგიურ დოქტრინასთან და აქვს ძალიან ბევრი შეხების წერტილი რელიგიასთან. მე შევეხები მსოლოდ რელიგიისა და მემკვიდრეობითობის არსს სიცოცხლის წარმოშობაში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ

სიცოცხლე დისკრეტული სისტემაა. წარმოდგენილია მრავალი მიკროორგანიზმებით და ორგანიზმებით. თვითონ ადამიანის წარმოშობა დედამიწაზე, შესაძლებელიც იყო და თურმე აუცილებელიც. ფიზიკოსები ამბობენ, რომ მომზადდა დედამიწა, რომ იქ სიცოცხლე წარმოშობილიყო. აქ გვაქვს რამოდენიმე ფაქტი. პირველი ის, რომ დედამიწა მზის ორბიტის გარშემო მოძრაობს, ის მოძრაობს გარკვეული დახრით. დახრილია 23,5%-ით და ამის ოდნავი შეცვლაც კი იწვევს ცვალებადობას ზაფხულსა და ზამთარს შორის, მეორე ასეთი მტკიცებულება ის გახლავთ, რომ მზე და დედამიწა დაშორებულია დაახლოებით 150 მილიარდი კილომეტრით და შესაბამისად 10%ით გაზრდა ან 10%-ით შემცირება გამოიწვევდა ცოცხალი ორგანიზმების დაწვას ან გამყინვარებას. მესამე აზრი ფიზიკოსების ის გახლავთ, რომ ნეიტრონების მასის 0,1% ცვალებადობა გამოიწვევდა წყალბადის დესტაბილურობას, რომელიც არის განმსაზღვრელი წყლისა და ორგანულ ნაერთთა წარმოშობაში. გარდა ამისა, აქ აღინიშნა ქიმიური ევოლუცია. ქიმიური ევოლუცია, მე ვიზიარებ მომხსენებლების მოსაზრებას, რომ ეს მართლაც შეუსაბამობაა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამ კონტექსტში, უნდა გავიხსენოთ ალბათ ცილა. ცილა ამინომჟავებისგან შედგება, როგორც მოგეხსენებათ, და ამინომჟავებმა რომ წარმოშვან ცილა შემთხვევით. ამის ალბათობა გამოთვლით არის 10^{-113} ხარისხად. როდესაც მათემატიკოსები ამტკიცებენ, რომ 10^{-50} ხარისხი იმდენად მცირე ალბათობაა, რომ უკვე წარმოუდგენლად დაუშვებელია რაიმეს შექმნა. შემდგომი მტკიცებულება გახლავთ ბიოლოგიური. ჩვენ გვასწავლიდნენ ოპარინის კვანცერვანტების თეორიას, რომ არსებობს ორგანული ბულიონი, რომელშიც სათანადო ზემოქმედებით შეიძლება შეიქმნას ცოცხალი წარმონაქმნი. არსებულ ბულიონში ცოცხალს შეუძლია სიცოცხლე მხოლოდ რამდენიმე წუთი. ეს მნიშვნელოვანი გახმაურებული ექსპერიმენტი გახლავთ, რომელსაც ეხლაც ხმარობენ, რომ დაუპირისპირონ რელიგიას. ეს ექსპერიმენტი არასწორია და რატომაა არასწორი? ადამიანისა და საერთოდ ცოცხალ სისტემაში, ამინომჟავებს გააჩნიათ N ფორმა, N იზოლერული ფორმა, რომელიც განაპირობებს ამ ქიმიური რეაქციების კატალიზს. მელერმა შექმნა ამონიუმისა და წყალბადის ორთქლისგან 4 ამინომჟავა. ამის გამო ძალიან დიდი ხმაური დაიწყეს, ჩვენ შევქმენით ხელოვნურად ამინომჟავაო. მაგრამ თურმე ეს ამინომჟავები არის L და D ფორმის ნაერთი, რომელთაც კატალიზის უნარი არ გააჩნია. ისე რომ, ეს ექსპერიმენტი, რომელსაც ძალიან ხშირად ასახელებენ, არ ამტკიცებს მათ აზრს. ამას წინათ გამოვიდა მეცნიერი ტელევიზიით და განაცხადა: აი, ჩვენ ასეთი ამინომჟავა მივიღეთო. ეს არასწორია. აქ უკვე ითქვა, მარტივიდან რთულის წარმოშობა არ ხდება. შესაბამისად ამისა, ევოლუცია, რომელიც წარმოადგინეს დარვინის ევოლუციურ მოძღვრებას, არ არის სწორი. ამას თვითონ დარვინიც აღიარებდა სახეობის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ევოლუცია სახეობის შიგნით შეიძლება იყოს. ეს სულ სხვა რამეა. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გენეტიკურად ცხოველებს და ადამიანებს შორის არის ძალიან ბევრი მსგავსება, მაგრამ არის კიდევ უფსკრული, რომელიც მდგომარეობს გონიერებისა და სულიერების არსებობაში ადამიანში. ისმევა ასეთი კითხვა, რა კავშირი აქვს, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ გენისა და სულის, სულიერების განვითარების ურთიერთობა? თურმე ძალიან დიდ კავშირია მათ შორის. თუ ჩვენ ავიღებთ და დავანგრევთ გენეტიკურ მასალას (ამას ჩვენ მუტაციას ვუწოდებთ). მაშინ ჩვენ მოვახდენთ სახეობის პათოლოგიას, მაგალითად, დაუნის სინდრომი. დაუნის სინდრომის მქონე ინდივიდი სულიერად არ ვითარდება, არ არის მსოფლიოში მაგალითი, რომ მათ ესწავლოთ რაღაცა, მაგალითად, წერა. დაუნი არის წარმოუდგენლად მრავალი პათოლოგიის მქონე. შესაბამისად სულიერება და გენი არის ძალიან მჭიდრო

კავშირში. აქ ითქვა, ადამიანის წარმოშობაზე, მე კიდევ შევეხები ამ საკითხს. არის მოსაზრება, რომელიც დომინირებს ადამისა და ევას წარმომავლობის თაობაზე და მე გავიმეორებ მას, მიუხედავად იმისა, არის კიდევ გარკვეული საპირისპირო მონაცემები, მაგრამ ახლა არის მიღებული, რომ ევა მიტოქონდრიული დედაა. რას ნიშნავს „მიტოქონდრიული"? მიტოქონდრია ორგანოიდია უჯრედში, რომელიც რეკომბინაციას არ განიცდის, აი, მაგალითად ქრომოსომები განიცდიან რეკომბინაციას და შენაცვლებას ერთიმეორეთი, მიტოქონდრიები არ განიცდიან. რადგან მიტოქონდრიები არ განიცდიან, მუტაციათა სიხშირე განისაზღვრა მეცნიერთა მიერ და დადგინდა, რომ თურმე ეს წინა პირველი, ქალი ევა უნდა წარმოშობილიყო აღმოსავლეთ აფრიკაში, 150-200 000 წლის წინ, ხოლო ადამი 100-150 000 წლის წინ. მიახლოებით თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. რა თქმა უნდა სავარაუდოა ისიც, რომ აზიაში დასახლება წარმოიშვა 100 000 წლის წინ, ხოლო ევროპაში – 40 000 წლის წინ. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი:

მეუფენო, ძვირფასო მეცნიერებო და სტუმრებო მოგესალმებით. რა თქმა უნდა ძალიან საინტერესო საუბრები მოვისმინეთ. მეც, სანამ მოვიდოდი, გადავავლე თვალი ლიტერატურას, რამდენადაც შემეძლო, და ძალიან საინტერესი წიგნი მომხვდა ხელთ. ეს არის ძალიან ცნობილი მეცნიერი დღეს ფრენსის კოლინზი, გენეტიკაში მუშაობს. მას აქვს ძალიან საინტერესო წიგნი დაწერილი, ჰქვია "ღმერთის არსებობის მტკიცებულება". ხოდა, თვითონ წიგნი ძალიან საინტერესოა, მაგრამ რამდენიმე ძირითადი იდეა მინდა გითხრათ მისი მოსაზრებებიდან და ჩემი აზრიც მინდა მოგახსენოთ. რას გულისხმობენ, როდესაც ამბობენ, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს უპირისპირდება ან არ უპირისპირდება. რაზეა საუბარი. ამ მეცნიერს აქვს ძალიან საინტერესო ასეთი ამბავი მოთხრობილი, რომ 21-ე საუკუნე დაიწყო იმით (ის თავის აღმოჩენაზე მოგვითხრობს), რომ მან მოახერხა, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად გაეშიფრა გენომა, რომელიც, მე კარგად ვერ ვერკვევი ამ სფეროში, უბრალოდ წაკითხულს მოგახსენებთ, რომელიც წარმოადგენს ამ დეენემების სრულ კომბინაციას და ეს გაშიფრული გენომა დაახლოებით 3 მილიარდი ნიშნისგან შედგება, თუ ამას გადმოვიტანთ ჩვენ ჩვეულებრივ ნიშნების სისტემაზე, ძალიან დიდია. ამ აღმოჩენის გაცნობა სამყაროსათვის მოხდა თეთრ სახლში და ეს მეცნიერი წერს, რომ როდესაც ამერიკის პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით, ეს იყო ბილ კლინტონი. ესეთი სიტყვები თქვა: "მეო თავმდაბლობით და მადლიერებით ვდგავრო და ვისმენ ამ საინტერესო პროგრამას, ფაქტიურად ესაა გაშიფრული პროგრამა ადამიანის მოქმედების, რომელიცო დღემდეო არსებობდა და იცოდაო მხოლოდ ღმერთმაო" და ეს მეცნიერი წერს, რომ ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ასეთი შეფასება, იმიტომ რომ ეს არის წმინდა მეცნიერული აღმოჩენა, რომელსაც თითქოს პირდაპირი კავშირი ღმერთთან არა აქვს. და აქედან იწყება საერთოდ მისი მსჯელობა და თან ესეთი სტატისტიკა მოჰყავს, დაახლოებით, ამერიკის მოსახლეობაზე აქვს საუბარი, 97% ამბობს, რომ სწამს რაღაცის, მაგრამ თუ მორწმუნეა ადამიანი, ეს რწმენა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ, მოჰყავს კიდევ ასეთი მონაცემები, რომ 1914 თუ 12 წელს ჩაატარეს გამოკითხვა მეცნიერებს შორის. იყვნენ ფიზიკოსები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, მგონი მათემატიკოსებიც. მეცნიერების 40% ამბობდა, რომ არის მორწმუნე. ასეთივე გამოკითხვა ჩაატარეს

1997 წელს და თითქმის იგივე იყო ეს პროცენტი. რას ნიშნავს ეს? პრინციპში ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა და ძირითადად არანაირი კონფლიქტი არ არსებობს მეცნიერებასა და რელიგიას შორის, რაც სინამდვილეში არაა ესე. ისიც უნდა ვთქვათ, რატომ? არსებობს აზრი, რომ კონფლიქტი მეცნიერებასა და რელიგიას შორის ორი უკიდურესი პოზიციით არის გამოხატული. ერთი პოზიცია: მეცნიერები ამბობენ, რომ რწმენა, რომელიც ეყრდნობა ისეთ მოსაზრებებს, რომლიც არანაირ მეცნიერულ კვლევებზე არაა დაყრდნობილი, რომელიც ყველა რელიგიას ახასიათებს, ეს ბოროტებაა. ეს არის მეცნიერის მიუღებელი დამოკიდებულება რელიგიურ ხედვისადმი. მეორე პოზიცია მორწმუნე, რელიგიური ადამიანის პოზიციაა. მის მიხედვით მეცნიერული თეორია, მაგალითად იგივე, რაც დღეს ვახსენეთ, ევოლუციის თეორია, გამსჭვალავს მეცნიერების ყველა სფეროს და არა მარტო ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, არამედ სოციალურსაც, მაგალითად, პოლიტოლოგიას, სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას და ა.შ. ამიტომ ყველა ზნეობრივ თუ სოციალურ უწესრიგობაზე, რაც არსებობს საზოგადოებაში, პასუხისმგებლობა ეკისრება მეცნიერებას. რა თქმა უნდა, ეს უკიდურესი პოზიციებია და მინდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, პირადად მე ასე ვფიქრობ, რომ ამას, არ ვიცი რა ვუწოდო, უფსკრული, დაპირისპირება, რაც არსებობს მეცნიერებასა და რელიგიას შორის, სინამდვილეში არ არის დაპირისპირება საზოგადოების სხვადსხვა ფენებს თუ წარმომადგენლებს შორის, არამედ ეს დაპირისპირება სინამდვილეში ერთ ადამიანში მომხდარი კონფლიქტია. ერთი ადამიანის ორი უკიდურესი დამოკიდებულებაა. ადამიანის შიგნით ხდება ეს. ერთის მხრივ, ადამიანი, რომელიც საერთოდ რაციონალურად აზროვნებს და მხოლოდ საკუთარ ძალებს ეყრდნობა, მას არ სჭირდება ღმერთი იმისთვის, რომ მან იცხოვროს და თავისი ცხოვრება მოიწყოს კომფორტულად და მან აღმოაჩინა თავის თავში ეს შესაძლებლობები, რომ შეიმეცნოს სამყარო და შეცვალოს იგი მისთვის სასარგებლოდ, მაგრამ ეს პირობითია, იმიტომ რომ ეს მისთვის სასარგებლო შეიძლება სხვისთვის, ზოგადად სამყაროსთვის, საშიში იყოს, რაც ასევე დღეს იყო აღნიშნული. თუ მას არ სჭირდება ღმერთის იდეა და ასე აწყობს თავის ყოფიერებას, ეს არის მატერიალისტური ხედვა, ეს არის ერთი უკიდურესობა, ეს არის ამპარტავნება, რომელიც ისევ ადამიდან მოდის. ასე რომ ვთქვათ, იგი ადამის ცოდვაშია. მან მოინდომა იყოს ისე, ვითარცა ღმერთი, როგორც მას გველმა უთხრა თავის დროზე, ანუ მას უნდა იყოს ღმერთის გარეშე. მეორე ასეთივე უკიდურესობა, რომელიც ასევე ადამიანშია, ის რომ მას ჰყავს თავისი ღმერთი, რომელიც მისთვის არის აბსოლუტური ჭეშმარიტება და ღმერთი არის მისთვის ყველაფრის განმსაზღვრელი, რომელიც მისთვის არის მთავარი და ყველაფერი დანარჩენი, რაც მის წარმოდგენას, აქ ლაპარაკია მის წარმოდგენაზე ღმერთის შესახებ და ყველაფერი, რაც ამას არ ეთანხმება, მისთვის არის ბოროტება. ანუ მას თვითდამკვიდრებისთვის სჭირდება რაღაც იდეა, რომელიც ამ მიწიერ სამყაროში არ მოიძებნება, სამყაროს გარეთ არსებული იდეა, მას აქვს თავისი წარმოდგენა ამაზე და ისიც კარგად გრძნობს თავს, იმიტომ რომ მან იცის ჭეშმარიტება და ყველაფერი, რაც ამის საწინააღმდეგოა, მისი მხრიდან არის უარყოფილი. ესაა რელიგიური ფანატიზმი ანუ ფაქტიურად გამოდის, რომ ორივე მხარე ეყრდნობა ადამიანურ ამპარტავნებას, ანუ იმას, რომ ერთის მხრივ, შენ შენ თვითონ ახერხებ ყველაფრის გაკეთებას და შენ გაქვს, ჭეშმარიტება შენი არის ექსპერიმენტი ანუ ძიება შენი ადამიანური შესაძლებლობით და მეორეს მხრივ, ეს არის შენი წარმოდგენები ღმერთის შესახებ, რომელიც შენ გაძლევს რაღაც გარკვეულ უპირატესობას სხვა ადამიანთან თუ ადამიანთა ჯგუფებთან მიმართებაში. სინამდვილეში კი თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ადამიანის გარდა კიდევ არსებობს სამყაროში ღმერთი, მაშინ ღმერთი თავისთავად არსებულია და ის თვითონ არ

შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმას, რაც მისივე შექმნილია ანუ სამყარო და მეცნიერება, რომელიც სწორედ ამ სამყაროს კვლევაა. ამიტომ, ბევრი მეცნიერი, ვერ ვიტყვი რომ უმრავლესობა, მაგრამ პატივსაცემი და ძალზედ საინტერესო პიროვნებები, რომლებიც დღეს გამოვიდნენ, თავისი მოსაზრება მოგვახსენეს და საერთოდ უმრავლესობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, არიან ადამიანები, რომლებიც მეცნიერულად იკვლევენ სამყაროს და, მეორეს მხრივ, მათ სწამთ ღმერთის არსებობა. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ამოცანა სწორედ ის არის, რომ ერთობლივად გავცეთ პასუხი ბევრ კითხვაზე, რომელიც ერთიდაიგივე ადამიანს, როგორც მორწმუნეს და როგორც მეცნიერს ებადება. მაგალითად როცა ვლაპარაკობთ სამყაროს ასაკზე და ვახსენებთ მილიონ თუ მილიარდ წლებს, მეორეს მხრივ, ვიცით რომ, საღვთო წერილზე დაყრდნობით, სულ რაღაც 7000 წლის უნდა იყოს სამყარო. არსებობს ეს კითხვები და იგივე ადამიანი, ვინც მორწმუნეა და ბიბლიას კითხულობს, შეუძლია იყოს მეცნიერი, რომელიც ჩაატარებს ექსპერიმენტს, მაგალითად, ნახშირბადის იზოტოპის დაშლის ექსპერიმენტს (კარგად ვერ ვამბობ, აღარ მახსოვს, თუმცა მეც ფიზიკოსი ვიყავი თავის დროზე) და მიღებულ შედეგს გაანალიზებს ბიბლიური ცოდნის გათვალისწინებით. მე ვფიქრობ, რომ ეს ორი რამ აუცილებლად შეთავსებადია ერთმანეთთან, ოღონდ, რა თქმა უნდა, ამას ჭირდება დრო. მეცნიერების და იგივე რელიგიური ცნობიერების განვითარება სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. უნდა მოვახერხოთ კატეგორიულობის გარეშე და მითუმეტეს ერთმანეთის მიმართ რაღაც შეურაცხმყოფელი თუ დამცინავი შეხედულებების გარეშე, თანდათანობით კითხვებზე პასუხის გაცემა.

თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სასულიერო აკადემიის პროფესორი, თეიმურაზ ბუაძე:

აქ ცოტა გაუგებარია, მე ჩემი გვარი არ გადამიცია, მაგრამ რადგან შესაძლებლობა მომეცა, ორი შენიშვნა მინდა გავაკეთო. ძალიან მადლობელი ვარ ამ შესაძლებლობისათვის. რაც შეეხება მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობას, არსებობს რამოდენიმე საინტერესო ფილოსოფოსი, რომელიც ამტკიცებს, რომ მეცნიერების თანამედროვე პარადიგმა არის ქრისტიანული წარმოშობის. მეცნიერება, როგორც ჩვენ გვესმის ეხლა, არ შეიძლება სხვა რელიგიურ გარემოში წარმოშობილიყო. რას გულისხმობს ეს, ეს მოდელი, რომელიც ისახება გალილეო გალილეი ან ბეკონთან, მოითხოვდა კრეაციონიზმს, რომელსაც ქრისტიანობა გვთავაზობს. ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო და სამყარო დამოკიდებულია ღმერთზე. როდესაც ევროპაში იქმნებოდა თანამედროვე მეცნიერული პარადიგმა, ფაქტოლოგიური ცოდნა, რასაც ევროპელი მეცნიერები ეყრდნობოდნენ, არ იყო მდიდარი, ყოველ შემთხვევაში ხარისხობრივად მდიდარი, ვიდრე ვთქვათ სხვა კულტურებში, მაგრამ იქ არ ჩამოყალიბდა მეცნიერება (სოლოვიოვი, ბერდიაევი, კურაევი და ფლორენსკი). ისეთ რელიგიაში, რომელიც არის მაგალითად პანთეისტური, ანემისტური რელიგიები, ძალიან ძნელია თანამედროვე მეცნიერული პარადიგმის ჩამოყალიბება. რატომ? იმიტომ რომ, პანთეიზმში მთელი ბუნება ღმერთია, მკრეხელობადაც ითვლება ექსპერიმენტის ჩატარება ბუნებაზე. როგორც ქრისტიანისთვის მკრეხელობაა ექსპერიმენტი ჩაატარო უფლის სისხლსა და ხორცზე, ზუსტად ისეთივე საკრალური მკრეხელობაა ბუნებაზე ჩაატარო ექსპერიმენტი, ან სადაცაა ანიმისტური სამყარო, ვოლიტარისტური სამყარო, ყველა ბუჩქში, ყველა ხეში, ყველა მცენარეში სულია, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს, თავისი ინტელექტი გააჩნია, ძალიან ძნელია მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება. ამით ხსნიან, რომ თანამედროვე

მეცნიერება არის ევროპული წარმოშობის. რა თქმა უნდა არსებობს მეცნერება აზიაში, მაგრამ ეს ექსპორტირებულია. მეცნიერება ძალიან ფუნქციურია, გამოყენებითია, როდესაც ხედავ მის უპირატესობას, მერე შეიძლება აზიურმა ცივილიზაციამ გადაიღოს ან გამოიყენოს ეს მოდელი. ეს არის ექსპორტირებული. როდესაც იქმნება მეცნიერება, თავიდან, ერთ-ერთი ფილოსოფოსი, რომელმაც მეცნიერებას დაუდო სათავე, არის ვთქვათ დეკარტი. დეკარტი ცდილობდა, რომ დაეფუძნებინა თავისი ფილოსოფიური სისტემა ღმერთის გარეშე. პირველად იწყებს, რომ მე ვარსებობ, ეყრდნობა იმას, რაკი მე ვფიქრობ, მე ვარსებობ, ამის შემდეგ აინტერესებს კითხვა, მე რომ თეორია მაქვს, ეს ჭეშმარიტია თუ არა. რა არის ამის კრიტერიუმი, რასაც მე შევიმეცნებ, იქნებ არ მეტყობა და მე შეშლილი ვარ, რაღაცეები მელანდება. მთავარი არგუმენტი დეკარტის ის არის, რომ ღმერთმა მომცა მე ეს შესაძლებლობა და რაკი ღმერთი კეთილია, ამიტომ ასეთი შემეცნება მომცა. დეკარტის ლოგიკა თავისდაუნებურად ქრისტიანის ლოგიკაა. ბერძენი ღმერთი სულაც არ არის ვალდებული, რომ ჭეშმარიტება ასწავლოს ბერძენს, პირიქით აცდუნებს. ვთქვათ ბუდისტისათვის, პიროვნული ღმერთი არ არსებობს, საერთოდ ასეთი გაანალიზება, მოთხოვნა ღმერთისა, რომ ჭეშმარიტება უნდა მასწავლოს, მიუღებელია. ამაზე არ მინდა ძალიან გავაგრძელო საუბარი, აქ დიდი აფეთქების თეორიაზე საუბრობდით, მეუფე იოანემაც თქვა, რა შენიშვნა მინდა ვთქვა, ეს ეხება ყველა იმ თეორიას, რომელიც სამყაროს წარმოშობის მოდელებს ეხება. საქმე რაშია, როგორც მეუფე იოანემ ბრძანა, ბიბლია უშვებს ორივე ვარიანტს. ერთი რომ, 6 დღე, რომელსაც ასახელებს ბიბლია, შეიძლება იყოს კალენდარული 6 დღე და შეიძლება იყოს მილიარდობით წლები. იმისთვის განურჩეველია ეს, შეიძლება იყოს ერთიც, მეორეც. თანამედროვე ფიზიკას არ ჭირდება ეს მილიარდი წლები. მილიარდი წლები ჭირდება მოდელებს, რომელიც სამყაროს წარმოშობის რომელიმე მოდელზე საუბრობს. ფიზიკური ექსპერიმენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ფიზიკოსები აქ ბრძანდებიან, ეფუძნება ფიზიკურ თეორიებს. როდესაც იქმნება რაიმე მოდელი, ყოველთვის ეს მოდელები დგას ექსპერიმენტზე და ყოველ ეპოქაში არსებობს სამყაროს წარმოშობის ერთდროულად, სინქრონულად რამოდენიმე თეორია. შეიძლება ერთი იყოს ძალიან პოპულარული, დიდი აფეთქების თეორია არ არის ერთადერთი, შეიძლება არსებობს სხვაც. ძალიან დიდი მადლობა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და ღვთისმეტყველების კათედრის გამგე, ედიშერ ჭელიძე:

მოგესალმებით, დღევანდელ დღეს წინა მომხსენებელმაც კარგად აღნიშნა, ალბათ ყველა ჩვენგანმა და მათ შორის ცხადია მეც, ბევრი რამ შევიმეცნე, შევიძინე და რაღაც კითხვები აღმოცენდა ჩემში, რაც აქამდე ბუნდოვნად იყო. მინდა ზოგადად საკითხზე სხვებთან ერთად მეც ყურადღება გავამახვილო რამდენიმე მომენტზე, რაც პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამ შეკრებასაც ეხმიანება. პირველ რიგში შეიძლება ხაზი გაგვესვა თვითონ სახელწოდების შესახებ, რის შესახებ ვმსჯელობთ ჩვენ. როდესაც სარწმუნოება

და ცოდნა, ასე დაყენდება პრობლემა, ამგვარი რუბრიკა შეიძლება ყოველთვის წარმატებული ვერ იყოს ანდა ის შინაარსი ჩაიდოს, რომელიც ასეთი გამოკვეთილი ვერ იყოს. ვთქვათ ერთ-ერთი ასეთი სახელწოდებით, რომ განხილვის თემა იყოს საერო მეცნიერება და საეკლესიო მეცნიერება. საერო ცოდნა და საეკლესიო ცოდნა, საერო რწმენა და საეკლესიო რწმენა. იმიტომ რომ საეკლესიო სარწმუნოება, რა თქმა უნდა არ გახლავთ, როგორც ხშირად გაიგება ხოლმე რაღაც ცოდნისგან მოწყვეტილი, გაუცნობიერებელი, რაღაც ირაციონალური მდგომარეობა ადამიანისა, ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტი რწმენა აუცილებლად საძიებელად გულისხმობს ცოდნას. ჩვენ თუ არ ვიცით, რა გვწამს, მაშინ ყველას ყველაფერი გვწამს და აბსოლუტური განურჩევლობა ყოფილა, ხოლო მაცხოვნებელი რწმენა მის საძირკველშივე გულისხმობს იმის ცოდნას, რა გვწამს. აქ რამოდენიმეჯერ ხსენებული იყო, მამა ზურაბისგან აბსოლუტურად მართებულად წმინდა იოანე დამასკელი, რომელიც ერთ-ერთი ფუძემდებელია საეკლესიო მეცნიერებისა, მაგრამ მან როდესაც თავისი ფუნდამენტური შრომა დაწერა, სახელმძღვანელო, რომელსაც ეწოდება "მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა" ეს ცალკე წიგნი კი არ არის, არამედ შედის იმ წიგნებში, რომლის სახელწოდება ასეთია "წყარო ცოდნისა" იქ არ წერია წყარო რწმენისა. "ცოდნის წყაროში" შედის, ერთ-ერთი ნაწილია, მესამე ნაწილია. ეს შრომა მართლმადიდებლური სარწმუნოების ფუნდამენტური გადმოცემა არის, ანუ ცოდნას ეყრდნობა ყოველთვის რწმენა, თვითონ ცოდნის რაობაში ჩვენ შეიძლება სხვადასხვაობა შევიტანოთ, ფართო მნიშვნელობის მცნება გახლავთ მაგრამ ის, რაზეც დღეს ჩვენ ვმსჯელობთ, თავის შინაარსით სწორედ ეს გახლავთ. საერო ცოდნა და საეკლესიო ცოდნა. ეკლესიის ისტორიაში ყოველთვის ასე იდგა საკითხი, როდესაც ეს პრობლემა დაისმეოდა, არასდროს არ დასმულა კითხვა ცოდნა და რწმენა, ყოველთვის გარეშე ცოდნა, ეს ტერმინი "გარეშე" მოიხსენებოდა, გარეშე რწმენა და საეკლესიო რწმენა. ამ ორი საკითხის განხილვა ხდებოდა და ამ ორ სიბრტყეზე ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ, მათი პრინციპებიც განსაზღვრულია. რა არის პრინციპული განსხვავება? პრინციპული განსხვავება, ყოველ შემთხვევაში ჩემი ინფორმაცია რაც არის ამ კუთხით, ის გახლავთ, რომ, და აქ რამდენჯერმე ეს აზრი გამოიკვეთა, საერო მეცნიერება თავისი არსით, რა თქმა უნდა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თუ ცნობიერად თუ არაცნობიერად რაღაცნაირად უპირისპირდება საეკლესიოს ყოველთვის, იმიტომ რომ ის ობიექტად ყოველთვის იმას შეისწავლის, რაც ნივთიერია, ექსპერიმენტულია, მატერიალისტურია. მატერიალისტური არა მსოფლმხედველობრივად, ამას არ ვამბობ, საგანი მისი შესწავლისა არის მხოლოდ მატერია, ზემატერიალისტურს ის ვერ შეისწავლის, იმიტომ რომ ექსპერიმენტში არ შემოდის, შესაბამისად ის, რაც აღიარებს ზემატერიალურის პირველადობას, მისთვის რა თქმა უნდა მიუღებელია შინაგანდ. მაშინ, როდესაც საეკლესიო მეცნიერება საერო მეცნიერებას ასე არ ხედავს. ის ხედავს თავის გაუკუღმართებულ ნაწილად, რომლის კვლავ ბუნებრივ წიაღში დაბრუნების მიზანდასახულობას თავისთავს განუკუთვნებს. ჩვენ რამდენიმე ხნის წინ გამოვაქვეყნეთ მასალები, ეკლესიის მამათა სწავლებები, იმასთან დაკავშირებით, თუ საერთოდ მსოფლიო კულტურა ნებისმიერი მისი სახეობითი განშტოებები, გამოვლინება როგორ შეიძლება განვიხილოთ და აი მამა ზურაბი, პირველი მოხსენება რაც იყო, ეკლესიის მამები როგორ უყურებენ საერო მეცნიერებას და გამოიკვეთა, რომ თვითონვე იყვნენ განსწავლული და რატომ ინტერესდებოდნენ ასე გამოკვეთილად ეკლესიის მამები საერო მეცნიერების შესწავლით? ეს ცხონებაში მათ ვერაფერში წაადგებოდათ. იმიტომ რომ ცხონებაში სარწმუნეობრივი დებულებანი, დოგმატები, რაც ეკლესიის წიაღში, საფუძველშივე დევს, ეს არის მაცხოვნებელი. შეისწავლიდნენ იმიტომ, რომ აქ კონცეფცია რა არის ეკელიისა,

აქ არის უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ ეკლესია საერო მეცნიერებას რაღაც დამოუკიდებელ მდგომარეობად არ განიხილავს, განიხილავს, თუ სულიერად და სარწმუნოებრივად ვიტყვით, აი როგორც დაკარგულ ცხვარს, რომელიც სადღაც გზააბნეულ ხეტიალშია, ანდა განიხილავს, როგორც კეთილმცენარეს სარეველათა გარემოში, თავისი მშობლიური ნიადაგიდან სხვაგან აღმოცენებულს. ანუ აქ ასეთი ვითარებაა, სამოთხეში, ეკლესიის მამათა სწავლებით, იყო ღვთისგანვე, მადლისმიერი, მაშინ რამდენადაც ამას ადამიანი დაიტევდა, სრულყოფილი ცოდნა. ცოდვით დაცემის შემდგომ ადამმა ეს ცოდნა გამოიყოლა სამოთხიდან, რამდენადაც დაიტევდა მისი გონება, მაგრამ მადლმოსილებას მოაკლდა და მის შთამომავლობაში მეხსიერებითად ეს ცოდნა გადადის, მაგრამ ნამსხვრევებად მიმოიფანტება კაცობრიობაში, შეერევა ამქვეყნიურობას, მიწიერდება, ვნებებით იტვირთება, თუმცა რჩება რაღაც იმ პირველადი წარმომავლობისა, ის არ შეიძლება შეიმუსროს, დადგება ჟამი, მაცხოვარი განკაცდება და ის ცოდნა, სრული ცოდნა ეკლესიის წიაღში კვლავ დაიდება და ეს ნამსხვრევები ბუნებრივად თავისი მშობლიური წიაღისკენ უნდა დაბრუნდნენ. ყველა ჭეშმარიტი ხორბლის მარცვალი და საერთოდ ღირსეული მარცვალი თავის ბეღელში უნდა დაბრუნდეს და ეკლესია, როგორც ჭეშმარიტი ბეღელი ჭეშმარიტი მარცვლებისა და შესაკრებელი მათი, რა თქმა უნდა. იმ ვალდებულებებსაც განუკუთვნებს ეკლესიის მამებს, როგორც მარცვალი მკრებლებს, რომ სადაც კი ღვთის მარცვალი გაფანტულია, ეკლესიის გალავნის მიღმა, არაეკლესიურ გარემოში, ყველაფერი მშობლიურ წიაღს დაუბრუნდეს. აი ასე ხედავდა და ხედავს ეკლესია საერო მეცნიერებას, ზოგჯერ გულმტკივნეულად, როცა გზააბნეულობა, ზოგჯერ იქ გარკვეული ღირსებანია ძალიან მნიშვნელოვანი და ეს თავის ბუნებრივ წიაღს მოწყვეტილი არ უნდა იყოს. ასეთ მდგომარეობაში ყველა ის საკითხი, რაც განიხილება დღევანდელ დღეს მეცნიერებაში და რაც ბატონ ალექსისთან მოხსენებაში და სხვა გამომსვლელთა მოხსენებებში შესანიშნავად გამოჩნდა, ჩემი აზრით უფრო მეტ გარკვეულობას შეიძენს თუ ყველა დღევანდელი მეცნიერი უფრო მეტად დაინტერესდება და რაღაცა წინასწარი უკუგანწყოფით არ უარყოფს საეკლესიო მეცნიერებას. მეცნიერებას ვამბობ. იმიტომ რომ ეკლესიის ისტორიაში, მხოლოდ გარეგანად გაიგება ასე რომ, აქ რაღაცა აზრს მოკლებული, ისეთი მიმართულებანია, თითქოს ცოდნას უარყოფ და სხვა. პირიქით, სამყაროს კვლევას, როგორც ღვთის ქმნილებისას, სწორედ, რა თქმა უნდა. ეკლესიის წიაღში მიმდინარეობდა. იმგვარი შეხედულებანი, იმგვარი ფუნდამენტური დასკვნებია გამოტანილი, რაც ზედმიწევნით თანხვდება თანამედროვე მეცნიერულ აღმოჩენებს, უბრალოდ ამ მეცნიერთაგან ეს არის აბსოლუტურად უგულველყოფილი და არც იციან ამის შესახებ. გნებავთ ის, აფეთქების თეორია, რაც ითქვა აქ. შეიძლება აფეთქების თეორია, ეს ტერმინი, უკვე თვით მეცნიერმაც უარყოს, როგორც ეს მე გავიგე, მაგრამ ეკლესიის წიაღში, როდესაც გრიგოლ ნოსელმა ჩამოაყალიბა თავისი ჭეშმარიტად უღრმესი სწავლება, რომ დასაბამში მყისვე შეიქმნა სამყარო და უდიდესი არგუმენტი მოუძებნა ამას, იმიტომ რომ ღმერთმა როგორ შეიძლება დროში შექმნას, უშვალოდ. შუალობითად ყველაფერი შეიძლება, ჩადოს საძირკველი, როგორც აქ ითქვა, პროგრამა და ამ პროგრამამ იმუშავოს და ესეც ღვთისაა, მაგრამ ეს შუალობითია. უშუალოდ ღმერთი ყველა აქტში არ მონაწილეობს. თუ ღმერთი დროში ქმნის, მართლაც ის დროში მოქმედი ყოფილა და დროში მოქმედი არ შეიძლება ბუნებითი ღმერთი იყოს. დროში მოქმედება ჭირდება იმას, ვინც არ არის ყოვლისშემძლე. თანდათან თავის განაზრახს აქცევს საქმედ. ამიტომ შემოიტანა მან ეს ფუნდამენტალური თეორია, რომ მყისიერად შეიქმნა ყოველივე, ოღონდ შეიქმნა პირველმიზეზობრივად, საფუძვლებშივე და ეს

მიზეზები, შემდგომში ურთიერთთანამოქმედებით, ძველ ქართულ თარგმანში არის შესანიშნავი ტერმინი, გიორგი მთაწმინდელის თარგმანში, "ვითარცა რაი საღრტილნი (საღრტილნი არის მკვესაბედი, ყველაფერი შეიქმნა დასაბამიდან, მაგრამ ბნელში არიან, როგორც მკვესაბედი, საკმარისია ერთიმეორეს გაკრან, აი რაღაცა ენერგია შეიქნმება, გამოსხივება, სინათლე გამოჩნდება) უცნაურად სხედან ბნელსა შინა" შემდგომ ურთიერთთანამოქმედებით ყველაფერი შეიქმნა. გრიგოლ ნოსელმა გააკეთა უდიდესი არმოჩენა, მეცნიერული აღმოჩენა, როდესაც მან მატერიის შესწავლა დაიწყო, მივიდა იმ დასკვნამდე, მე არ ვამბობ სარწმუნოებრივ, საკუთრივ მეცნიერულ, მატერიის პირველსაფუძვლები არამატერიალურია. მის წინაშე იყო ასეთი კითხვა, ის ამბობს, რომ, ყოველ წუთში მისვამენ ამ კითხვას, მარტო რწმენაზე ხომ არ არის, უნდა დამისბუთო რომ ღმერთმა შექმნა მატერიალური საყარო. ღმერთმა რომ ანგელოზები შექმნაო, მე არ მიკვირსო, ამბობს აგერ, იმიტომ რომ ანგელოზებიც არამატერიალურია მეტნაკლებად, მის წინაშე ყველაფერი მატერიალურია, მაგრამ ამქვეყნიურ სოფელთან შედარებით, ანგელოზები უხორცონი არიან, გასაგებია, მაგრამ არამატერიალურმა დიამეტრულად განსხვავებული მისგან მატერიალური სამყარო როგორ შექმნა და გრიგოლ ნოსელი ამბობს, თუ ჩვენ მატერიალურ სამყაროს ჩავუღრმავდებით, რასთან მივდივართ, რა არის მატერიალური სამყარო, მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი. თითოეული მათგანი რა არის. მიწა, რომ ავიღოთ ცალკე სიმძიმის, სიმშრალის და სიგრილის სამი თვისების ერთობა, წყალი რა არის? იგივე თვისებები, ოღონდ სინოტივეა. ჰაერს სიმსუბუქე, ცეცხლს სიმხურვალე. ეს თვისებები თავისთავად რა არის? სიმძიმე არამატერიალური მოვლენაა, იმას ხელს ვერ მოვკიდებთ. ნებისმიერი თვისება, რისგანაც ეს სოფელი შედგება, თავისთავად არამატერიალურია და არამატერიალური შექმნა ღმერთმა, რომელიც კვეს აბედისებს, ერთიმეორესთან თანამოქმედებაში აყალიბებენ მთელ სამყაროს. ეს სამყარო რა თქმა უნდა, ეკლესიური სწავლებით ნამდვილად ექვს დღეში ჩამოყალიბდა. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ საეკლესიო სწავლებაში ამაზე განსხვავებული აზრია, მაგრამ თანდათანობით, ყოველ შემთხვევაში, რაც მე ინფორმაცია მაქვს, კვლევა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ათვლის სისტემა როგორი იქნება, საყაროს ხანგრძლივობას ისე განვსაზღვრავთ. სავსებით შესაძლებელია და არსებობს გარკვეული გამოკვლევები (მე თვითონაც სადისერტაციო დაცვის ოპონენტი ვიყავი, საერთოდ არ მეხებოდა, ეხლაც არ ვიცი რატომ ვიყავი). ეს იყო მეცნიერული შრომა, სადაც იყო მთელი ფაქტოლოგიური მასალა მოტანილი იმის შესახებ, რომ ხნოვანება, ასაკი სამყაროსი გაცილებით სხვაგვარია, ვიდრე ეს ზოგჯერ წარმოჩნდება. შეიძლება ათვლის სისტემა შეიცვალოს და აბსოლუტურად სხვა დასკვნამდე მივიდეთ. ამიტომ ასეთ შემთხვევებში, ისე როგორც დროის შესახებ, მაგალითად გრიგოლ ნოსელი რომ ვახსენეთ, მას აქვს ასეთი შესანიშნავი ფორმულირება, დრო იგივეა, რაც შესაქმე და იკვლევს ამას, ეს დებულება წამოაყენა გარკვეული კვლევის შემდეგ და გვთავაზობს ამას, შეიძლება ვინმე არ დაეთანხმოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს უნდა შეისწავლონ, მეცნიერები უფრო შორს წავლენ, მე ეჭვი არ მეპარება, როდესაც ამ ფუნდამეტურ კვლევებს ეკლესიის მამებისა სხვადასხვა ეპოქაში, რაღაც უდიდესი რუდუნებით განხორციელებულს, გაითვალისწინებენ, შეისწავლიან და იქნებ ნახონ, რასაც დღეს წარმოაჩენენ სხვაგვარი ტერმინოლოგიით, ზედმიწევნით და კიდევ უფრო ღრმა აღმოჩენებით უკვე გაკეთებულია, იმიტომ რომ ეს ვალდებულება იყო ეკლესიის მამებისა ღვთის გამოვლინებისა. ესაა განსხვავება. საერო მეცნიერება ამ სოფელს იკვლევს, როგორც საბოლოო კვლევის ობიექტს, ეკლესიის მამები ამას იკვლევენ, როგორც ღვთის შესაქმის ერთ-ერთ გამოვლინებას, დადასტურებას, ღვთისკენ გზას და დასასრულ ამ განმარტებისა, მე შემიძლია ერთი უდიდესი მეცნიერის შესახებ გამცნოთ

(სწორედ დარბაზში ვსაუბრობდი ამის შესხაებ). მას ლექსად აქვს თავისი ცხოვრება წარმოჩენილი და დასაწყისში ამბობს ასეთ რამეს, რომ "როგორც შემეძლო მოვიმუშაკე ყოველივე, რაც კი შეექმნა აღმოსავლეთს და თუ დასავლეთს." კაცობრიულული კულტურა, სანამ მეცნიერი გახდებოდა, გავიდა დრო, ცოტა ხანი და ბოლოს ამ ლექსს ასე ამთავრებს: „ხოლო შედგომ ესე ყოველი, წინ დავაგე ღმერთის, მაცხოვრის ფერხთით". მივიდა ამ დასკვნამდე. ეს უდიდესი მეცნიერი, მეცნიერი მე დავარქვი ამ შემთხვევაში თქვენს წინაშე, გახლდათ წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. მას აქვს ეს ლექსი, მთელი თავისი ცხოვრების გზა ბოლოს განჭვრეტილი და მართლაც მას ჰქონდა პერსპექტივა, რომ საერო მეცნიერების ხაზით ჭეშმარიტად უდიდესი მეცნიერი გამხდარიყო. ყოველივე შეისწავლა, აქ იყო საუბარი, იმის შესახებ, რა ღრმა განათლებას იღებდნენ ეკლესიის მამები, მაგრამ რატომ ხდებოდა, ამხელა განათლებას მიიღებდნენ და მოიტანდნენ სამსხვერპლოზე ღვთის წინაშე. იმიტომ რომ არ მოხდეს თვითმიზნური კვლევა, დამოუკიდებლად სარწმუნოებისა, რადგანაც აუცილებლად მაშინ მოქმედებაში მოდის პავლე მოციქულის სიტყვები, "განაცოფა ღმერთმა სიბრძნეი ამის სოფლისა" ჩვენ ვხედავთ, რომ ვერც ერთ მდგომარეობაში, ვერც ერთ გამოვლინებაში საერო მეცნიერებისა, ვერ მივედით ვერც ერთ მყარ დასკვნამდე. იმიტომ რომ მიმართულება იქეთკენაა, სადაც არ არის არანაირი პერსპექტივა. თუ პერსპექტივა შემოქმედისკენაა, მაშინ ის თავის პოზიტიურ შედეგს ყოველთვის გამოიღებს. ამის დამოუკიდებლად და მოწყვეტილად აუცილებლად ეს ჭეშმარიტება ყოველთვის გამოვლინდება, რომ ამ მდგომარეობაში იქნება ყოველივე, ვერსად მყარი წერტილი ვერ მოიძებნება, ყოველთვის იქნება ასეთი უშედეგო ძიებანი და სხვა. ერთობლივი, ერთიანი მოღვაწეობა იმას გულისხმობს რომ, როგორც ეკლესია უდიდესი კრძალვით უყურებს ყველა აღმოჩენას და შეისწავლის, ასეთივე კრძალვა იყოს მეორე მხრიდან და ესაა გამთლიანებული ერთიანი მოღვაწეობა და როგორც პირველი ადამიანი ადამი, თვითონვე იყო მეცნიერიც და მორწმუნეც, მასში არ იყო გაყოფა, რომ ის მეცნიერია თუ მორწმუნე, ორივე იყო, ჭეშმარიტად მეცნიერი და აქ ითქვა ამის შესახებ, რომ რაც დაარქვა ცხოველებს, მათი არსი განჭვრიტა და ეს იყო ზედმიწევნითი. ანუ ეს მეცნიერება ჭვრეტითი მეცნიერებაა, მაგრამ მეცნიერებაა ხომ? მისი ბუნების შეცნობაა და აი ეს პიროვნება, თავის თავში თუ ორივეს აერთიანებდა, ნიმუშია ზოგადად კაცობრიობისა. იმიტომ რომ ადამი თავის თავში კაცობრიობის ნიმუშია. რომ ყველა ჩვენგანი ვესწრაფოდეთ, ჭეშმარიტად მეცნიერიც ვიყოთ, მორწმუნეც ვიყოთ და მეორე საუკუნის დამდეგის უდიდესი ძეგლი გახლავთ ეპისტოლე დიოკლეტესადმი, უავტოროა, არ ვიცით ვინაა ავტორი, ასე მთავრდება, "არ არსებობს ჭეშმარიტი სარწმუნოება ჭეშმარიტი ცოდნის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს ჭეშმარიტი ცოდნა ჭეშმარიტი რწმენის გარეშე". და ჩემს თავსაც და ყველა თქვენგანს ამას ვუსურვებ. მადლობთ.

პროფესორი ნოდარ კეკელიძე:

მოგესალმებით, მეც, რა თქმა უნდა, ვუერთდები იმ შეხედულებას, რომ შესანიშნავი შეხვედრაა და გაგრძელება იმ საქმეების, რომელიც აკადემიკოს ჯავახიშვილის მიერ დიდი ხნის წინ დაწყებული იყო სხდომები, საერთაშორისო კონფერენციები, რომელშიც მეც მიმიღია მონაწილეობა. ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრებს. აი, დღეს მე შესანიშნავი გამოსვლები მოვისმინე, ძალიან ბევრი შევიძინე, ძალიან ბევრი ახალი იყო ჩემთვის და მინდა ვთქვა, იცით რა? აი, ასეთი რამ აუცილებელია ახალგაზრდებთან ერთად რომ იყოს ჩატარებული, იმიტომ რომ, სწორედ ახალგაზრდებს, ეხლა მე არ შევუდგები მათი მნიშვნელობის დახასიათებას, მაგრამ ერთ რამეს მოგახსენებთ,

რომ ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის ძალიან კრიტიკულად განწყობილია. კრიტიკულად განწყობას ახალგაზრდობაში კიდევ გარკვეული პირობები აძლიერებს და ჩვენ, რა თქმა უნდა უნდა, შევეცადოთ მათი რწმენაში გაძლიერება. სახარებაშიც არის აღნიშნული, რომ რწმენაში გაძლიერება ყველას სჭირდება, მითუმეტეს ახალგაზრდობას. საქმე ისაა, რომ დღეს არავინ არ დავობს ამაზე და უწმინდესი სულ ამის შესახებ საუბრობს. დიდი ხნის წინ მე მახსოვს უნივერსიტეტში მისი გამოსვლა, როდესაც მან აღნიშნა, მეცნიერებასა და რელიგიას შორის არაწინააღმდეგობითი ხასიათი და ეს ყველაფერი მკვიდრდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა, გარკვეული აზრით, მთელ მსოფლიოში არსებობს. დარვინიზმი ჯერ კიდევ მთელ მსოფლიოში საკმაოდ ძლიერია და მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდე ბოლომდე ღმერთთან მისული არაა. ამიტომ განხილვა ამისა და განმარტებების მოცემა ძალიან მნიშვნელოვანია. თავის დროზე რითი დაიწყო, სწორედ აღნიშნა ბატონმა თავმჯდომარემ, მე-17 მე-18 საუკუნიდან, როდესაც მეცნიერება ძალიან ძლიერად განვითარდა, მაშინ დაიწყო მეცნიერების რადაცნაირად შემობრუნება რელიგიისაკენ, იმიტომ რომ თავის დროზე ინკვიზიციამ ისეთი საშინელი როლი ითამაშა ამ დამოკიდებულებებში და ისე ჩაანგრია ხიდი მათ შორის, რომ ეს ორი სუბსტანცია თითქოს მტრულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა ერთმანეთთან. მე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მრავალ რელიგიურ მიმართულებათა შორის, მართლმადიდებლობა იყო ერთადერთი მთელ მსოფლიოში, რომელსაც ეს წინააღმდეგობები არ ჰქონია მიუხედვად იმისა, რომ ევროპასთან ასე ახლოს ვართ, გეოგრაფიულად ვგულისხმობ ყოველშემთხვევაში. მართლმადიდებლობაში არ ყოფილა ინკვიზიცია და ამიტომ არ იყო აქ ის დიდი წინააღმდეგობები. ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ღვთისმეტყველები იყვნენ, იყალთოელი, პეტრიწი და სხვადასხვა მეცნიერებიც იყვნენ, და იყვნენ, პირველ ყოვლისა, სულიერი მამები. ამიტომ იყო, რომ ჩვენთან ძალიან კარგად მიდიოდა ის ძირითადი აზრი, რომ სულიერებაში ისახება მეცნიერება. მე მინდა უბრალოდ აღვნიშნო, ახალი არაფერი არაა, ის გარემოება, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის (მე ხშირად მაქვს საუბარი ახალგაზრდებთან ლექციების ან სხვა სახით). კრიტიკული განწყობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თანამედროვე მეცნიერება ასაბუთებს ან უფრო აახლოვებს ერთმანეთთან რწმენას და მეცნიერებას. ალბათ სიტყვა დასაბუთება არაა საჭირო, იმიტომ რომ ღმერთის არსებობას და რწმენას დასაბუთება არ სჭირდება. ღმერთი თავისთავადია, პირველადია და თუ რწმენა გაქვს, გზა გახსნილი გაქვს ცხოვრებისათვის. მაგრამ ახალგაზრდებს მაინც სჭირდებათ დამატებითი განმარტებების მიცემა. როდესაც მათ ვუსაბუთებთ, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევები არამც თუ არ ეწინააღმდეგება ბიბლიურ ცოდნას, პირიქით აძლიერებს, ეთანხმება მას. ეს ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს. აი, თავიდანაც რომ დავიწყოთ, კაცობრიობის ისტორიაში იმაზე დიდი მეცნიერი, როგორიც ნიუტონი იყო, არამგონია ვინმე სხვა იყოს, ის იყო ღრმადმორწმუნე ადამიანი. ის ყოველთვის ამბობდა, რომ პირველი ბიძგი სამყაროს ღმერთმა მისცა. მე კი ვაკეთებ აქ, როდესაც აკეთებდა მეცნიერებას. ღმერთთან დამოკიდებულებაზეც თავისი აზრები აქვს გამოთქმული. მაგრამ მან ჩამოაყალიბა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში. თანამედროვე მეცნიერების ასევე დიდი შემქმნელი მაქს პლანკი, ასევე იყო ღრმადმორწმუნე და ბევრი სხვა. ბატონ ზურაბის მოხსენებაში იყო მოცემული, რა ღრმად გათვითცნობიერებული იყვნენ მორწმუნე ადამიანები. აი ეს აზრები ჩვენ რომ მივაწოდოთ და უახლესი გამოკვლევების შედეგები ახალგაზრდობას და განვუმარტოთ, რომ ბოლო ასტრონომიული, ასტროფიზიკური გამოკვლევები გვიჩვენებს, ყველაფერი მიგვანიშნებს ღმერთის არსებობაზე, ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ არსებობს ერთი შემოქმედი, ის პირველი სიტყვა,

პირველი ინფორმაცია და ა. შ., საიდანაც ეს ყველაფერი შეიქმნა. ის ექსპერიმენტებიც, რომელიც ახლა "ცერნში" მიმდინარეობს და სხვადასხვა, იმის დასაბუთებაა ყველანაირად, რომ მაშასადამე შემოქმედის მიერაა ყველაფერი ეს შექმნილი და აი ეს უნდა მივიტანოთ ჩვენს ახალგაზრდობასთან და მაშინ ისინი გაცილებით უფრო მაგრები იქნებიან რწმენაში. აუცილებელია, ისტორიულადაც ასე იყო, ვოლტერზე რომ იყო ლაპარაკი, განმანათლებელი ხომ იყო, ისტორიაში ისე მოიხსენიება, და ამ დროს გააფრთებით ებრძოდა ბიბლიას. ისეთი საკითხები არის იქ, დღე, ხანგრძლივობა, სინათლე, მაგალითად მზე არ იყო და სინათლე არსებობს და ა.შ. ერთი სიტყვით დღევანდელი მეცნიერული შედეგების გარჩევით, ჩვენ ბიბლიის ყველა წინააღმდეგობებს, ბრჭყალებში ვხმარობთ, ჩვენ შეგვიძლია ამის ყველაფრის ახსნა. რომ ეს სინათლე იყო ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომ გაყოფა როგორ ხდება ჩრდილის და სინათლის, არ შეგაწყენთ თავს ამის მოხსენებებით, ეს შეგვიძლია ჩვენ ძალიან კარგად დავასაბუთოთ. თანამედროვე კვანტური მექანიკა და კვანტური ფიზიკა შესანიშნავად აჩვენებს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუღწეველია მეცნიერისათვის. ფაქტიურად ეს არსებობს მხოლოდ ღმერთთან და ჩვენ რაღაცა, მეცნიერებს შეგვიძლია გარკვეულწილად მივუახლოვდეთ, მაგრამ გაგება ყველაფრის შეუძლებელია და უამრავი პოსტულატები, აკრძალვები დამადასტურებელი ნიშანია ამის, ელემენტარული ფაქტი, ვთქვათ, ახლა უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ნაწილაკების აჩქარებაში, შეგვიძლია ენერგია სულ ვაძლიოთ, ვაძლიოთ, მაგრამ რაც არ უნდა გავაკეთოთ, სინათლის დიდ სიჩქარეს ან მის ტოლს ვერ მივანიჭებთ. თქვენ აძლევთ ენერგიას და მერე ის უკან ასხივებს, აბრუნებს. ე. ი. შეუძლებელია ამის გაკეთება, შეუძლებელია უამრავი პოსტულატის ახსნა. ამრიგად, აღარ შეგაწყენთ თავს, მეც მინდა გავუსვა ხაზი, როგორც აქ ითქვა, რომ ჭეშმარიტება არის მხოლოდ ერთი, რწმენა არის ყველაზე მაღალი. თუ ჩვენ მეცნიერები შევიარაღდებით რწმენით, რა თქმა უნდა ვგულისხმობ მართლმადიდებლურ რწმენას, ჩვენ ძალიან დიდ წარმატებებს მივიღებთ, იმიტომ რომ ასეთი მეცნიერები იძლევიან ყველაზე უკეთ შედეგებს და მენდელიც სწორედ ამის მაგალითი იყო. მადლობთ ყურადღებისათვის.

განცხადება:

ყველას დიდი მადლობა, ვინც დღეს მონაწილეობდა, იმიტომ რომ ჩემთვის ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და სასიამოვნო. მე მინდა განცხადება გავაკეთო, თქვენს წინაშე, იმიტომ რომ ვფიქრობ ამ განცხადებისთვის უკეთეს აუდიტორიას მე ვერ მოვნახავ. მე ვარ რაფიელ ჩიქოვანი, მეცნიერების ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე. ჩვენ 2005 წელს ჩავატარეთ პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "მეცნიერება და რელიგია". მას ხელმძღვანელობდა ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორიცაა ჩვენი პატრიარქი და ივერი ფრანგიშვილი ალბათ გაგიგონიათ, ჩვენი აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე და ჩვენი პრეზიდენტი და მოსკოვში ერთ-ერთი ინსტიტუტეს დირექტორი. სანიმუშოდ ჩატარდა ეს კონფერენცია, დაგვლოცა პატრიარქმა, მონაწილეობდა ამ კონფერენციაში, მიღება იყო მასთან ამ საკითხებზე. მონაწილეობდნენ ამერიკელი და რუსი მეცნიერები, მიღება იყო მათი პატრიარქთან. გამოქვეყნდა კონფერენციის შრომებიც, ეს იყო 2005 წელი. ასეთი შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ განსაზღვრული იყო 2006 წელს ჩაატარებდა რუსეთი, 2007 წელს – საქართველო

და ა.შ. ვიცვლებოდით. სამწუხაროდ 2007 წელს რუსეთმა ვერ ჩაატარა, 2007 წელს გარდაიცვალა ივერი ფრანგიშვილი, 2008 წლის ამბები ყველსთვის ცნობილია, ასე რომ წამოვიდა სხვადასხვა მიზეზები და ეს მიზეზები საკმაოდ ბევრი იყო, რომ აქამდე მოგვიყვანა. შარშან ჩვენმა საზოგადოებამ გადავწყვიტეთ ისევ ახალი კონფერენციის ჩატარება. შარშან შევთანხმდით მის უწმინდესობა პატრიარქთან და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, წლის ბოლოსთვის გვინდა, მე მგონი მოვასწრებთ, წლის ბოლოსთვის გვინდა ჩავატაროთ მეორე საერთაშორისო კონფერენცია "მეცნიერება და რელიგია". სპეციალურად შევარჩიეთ ეს სახლეწოდებაც. ერთი განსხვავებით მხოლოდ, თუ პირველი კონფერენცია იყო მხოლოდ ქრისტიანული, თანაც მართლმადიდებლური. ახლა გადავწყვიტეთ, რომ ჩავრთოთ სხვა რელიგიებიც, ალბათ სწორიც იქნება, ლოგიკურიც და ჩვენ ზოგიერთ დარტყმასაც ავიცილებთ. პირველ ნაბიჯს ვაკეთებთ ასეთს, რომ ამ კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ თბილისში არსებული კონფესიების წარმომადგენლებიც. ასე რომ, ჩვენ წლის ბოლოს გვინდა ჩავატაროთ საერთაშორისო კონფერენცია. და ისევ ვიმეორებ, უკეთესს ვერ მოვნახავთ საზოგადოებას, სადაც ეს უნდა მეთქვა და ყველას ვთხოვთ, დიდი სიამოვნებით, როგორც ერს, ასევე ბერს, ყველას ვთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ამ კონფერენციის მუშაობაში. ბატონო დავით, დიდი მადლობა ასეთი სემინარისთვის, მაგრამ ერთი სურვილი მაქვს, ვფიქრობ, რომ თქვენს სემინარს საჭიროა, შეიძლება აქვს და მეარ ვიცი, ქონდეს მუდმივმოქმედი გამოცემა, სადაც სემინარის მასალები დაიბეჭდებოდა, პერიოდულად, ვთქვათ თვეში ერთხელ. ჩვენი საზოგადაობაც სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას. უღრმესი მადლობა.

თამაზ გაბისონია:

მე ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთი პატივცემული საზოგადოების წინაშე გამოვდივარ, ცოტა ვღელავ, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მოვდიოდი ამ შეხვედრაზე, მქონდა ასეთი იმედი, რომ როგორც სათაურშია მითითებული, იქნებოდა რაღაც მისწრაფება დიალოგისაკენ "რწმენა და ცოდნა", ვიდრე იმის მტკიცება, რომ დავუშვათ, რომ კაცობრივი სიბრძნე არ აღემატება ღვთაებრივ სიბრძნეს და ის მიდის სხვა მიმართულებით და ჩვენ მივდივართ სხვა მიმართულებით. მე მინდა ვთქვა ერთი რამ, ის რომ გამოვდივართ ფიზიკოსები, ბიოლოგები და სხვადასხვა ასეთი მიმართულების მეცნიერები და ვსაუბრობთ აუდიტორიასთან, რომელიც პრინციპში არ არის ამისთვის მომზადებული, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მიჩნდება ასეთი ანალოგია, რომ თითქოსდა აი იგივე, ცუდად არ გამიგოთ, ათეისტი მეცნიერი გამოდიოდა და ეუბნებოდა, შეხედეთ აგერ გერგესევლები რატომ ჰყავდათ (არ მესმის სიტყვა მადღოვრები?)

ეს არ არის სწორი და ესეთი პოზიციიდან. საერთოდ, რა ვიცი, შეიძლება ცოტა უხეშად გამომდის, მაგრამ მე პირადად არ მჭირდება რაღაც საბუთები იმისა, რომ ღმერთი არსებობს და მე არ მეშინია იმის, რომ მეცნიერება განვითარდეს, იმიტომ რომ მე ვიცი ბიბლიაში რაც წერია და ქრისტე რასაც ამბობს, თავისი ცხოველი სიტყვით, არის ნამდვილი. ეს მე მწამს. ის, დავუშვათ, დარვინს რომ ხატავენ ძალიან ხშირად სახელმძღვანელოებში და დარვინი წარმოდგენილია მაიმუნის ხსეულით, ასეთი მიდგომა ძალიან არ მომწონს.

ყველა, ნებისმიერ საკითხზე, მეტნაკლებად მნიშვნელოვან საკითხზე მსოფლიოში მუშაობს 100 მეცნიერი საზოგადოდ, ასეა დადგენილი. ჩვენ რომ ვთქვათ, ფაქტობრივ მეცნიერებას, რაც შეეხება, ის რადაცნაირად ჩვენ გაგებას ბიბლიისას ეწინააღმდეგება, ჩვენ გამოვდივართ, ვაკეთებთ ასეთ დასკვნას, რომ ამ 100 მეცნიერიდან თუ 80 მეცნიერი რადაც შუალედურ დასკვნას აკეთებს, მეცნიერების განვითარების რადაც ეტაპზე, ისინი ან ბოროტები არიან, იტყუებიან ან კიდევ უჭკუოები არიან არა? მოდით იქნებ თავი დავანებოთ ამ ფაქტობრივ მეცნიერების მიმართულებას, იმიტომ რომ ეს, გინდა ათეისტები იყვნენ, გინდა თეისტები იყვნენ, ისინი ეძიებენ სიმართლეს რადაც გარკვეულ დონეზე. ეს უკვე თავისთავად ღვთის ძიებაა. მე დიდ ბოდიშს ვიხდი, არ მეკუთვნის აქ გამოსვლა შეიძლება, მე ვარ თამაზ გაბისონია, ეთნომუსიკოლოგი და მე ასე მგონია, ჩვენ უნდა წავიდეთ იმ ახალგაზრდებისკენ, რომლებიც აქ მოიხმეს, მათი კრიტიკული განწყობისკენ და მათ ვესაუბროთ ღვთის შესახებ, მეცნიერების შესახებ ჩვენ არ უნდა ვესაუბროთ, მე ვფიქრობ. ახალგაზრდებს, მეცნიერების შესახებ უნდა ესაუბრონ ექსპერიმენტები, მათი ხელმძღვანელები, აქ ფაქტობრივ მეცნიერებაში ჩვენ არ გვჭირდება რაიმე სახით ჩარევა. რადაც ისეთი შთაბეჭდილება გამიჩნდა, რომ ჩვენ თითქოს გვეშინია იმის, რომ სადღაც რადაც არ დაიწეროს ბიბლიის წინააღმდეგ, დაიწეროს, არა უშავს, ბევრჯერ დაწერილა და განქარვებულა. ხშირად შეცდა მეცნიერება, მაგრამ მეცნიერება შეცდომებზე ვითარდება და რელიგია არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში, იმიტომ რომ რელიგიური სისტემა დამარცხდება. ვიღაცა ამ სისტემის წარმომადგენელი დამარცხდება, თორე სისტემა კი არ დამარცხდება. თუ ვინმე გამოვიდა საზოგადოდ ეკლესიის სახელით და თქვა, რომ რადაცა არ არის სწორი მეცნიერებაში, ის ძალიან დიდ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე. შეიძლება მეცნიერება დამარცხდეს, ის წარმომადგენელი დამარცხდეს, შეიცვალოს შეხედულება რელიგიური სისტემის მიმართ. ინკვიზიციამ აწამა ჯორდანო ბრუნო, მაგრამ დღეს რომის პაპი და კათოლიკური კათეხიზმო აღიარებს, რომ ევოლუცია არსებობს. ხოდა ეს ცხონების საკითხი არ არის. ამიტომ დიდი ბოდიში, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საქართველოს საპატრიარქოში არ უნდა იყოს კრეაციონიზმის საზოგადოება, კვლევის საზოგადოება. ეს ცალკე შეიძლება იყოს ორგანოზაცია. დიდ ბოდიშს მოვიხდი ჩემი ასეთი განცხადებისთვის, საზოგადოდ ჩემთვის ბევრი საინტერესო ფაქტი იყო მოხმობილი. ძალიან დიდი მადლობა ყველას ჩემი შემეცნებითი თვალსაწიერი ბევრად უფრო გაფართოვდა და ბოდიშს ვიხდი ჩემი ესეთი გამოსვლისთვის.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი:

დამთავრდა სხდომა, მე მაინც მინდა აღვნიშნო, რომ აქ არავინ უშლის არავის ამ თემაზე იმუშაოს და გამოთქვას თავისი მოსაზრება, მაგრამ მე მინდა, აღვნიშნო, რომ სემინარის თემა არის ძალზედ საჭირო. პირველი სემინარია. ჩემი აზრით ძალიან ნაყოფიერი მუშაობა იყო. საინტერესო იყო გამოსვლები, რომელიც ჩვენ სუყველამ მოვისმინეთ აქ, ამიტომ, მე ვფიქრობ, ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარდა. მე არ ვარ კომპეტენტური იმ საკითხებში, რაზეც აქ ლაპარაკი იყო, მაგრამ მე ისეთი აზრი გამოვიტანე, რომ ფაქტობრივად ყველა გამომსვლელი თანახმა იყო იმისა, რომ ძალიან დიდი დაპირისპირება მეცნიერებასა და რელიგიას შორის არ არსებობს, არსებობს, კი, როგორ არა, მაგრამ ფაქტიურად ორივე ერთი ჭეშმარიტებისაკენ მიდის. რელიგია მოდის ღმერთიდან და იქიდან ქმნის ყველაფერს, ხოლო მეცნიერება ქვევიდან წავიდა ღმერთამდე. ეს ორი საწინააღმდეგო მიმართულება, მაგრამ ერთიდაიგივე ჭეშმარიტების შესაცნობად. ეს დღეს სემინარზე კარგად გამოჩნდა. მე ერთი

რამე მინდა აღვნიშნო, აქ ბატონმა მომხსენებელმა აღნიშნა, ბატონმა ალექსიმ, რომ ყველა დიდი აღმოჩენა, ყოველ შემთხვევაში გარკვეული აღმოჩენები, ინტუიციის შედეგია და ეს არის ღმერთისგან ბოძებული. მე არ ვიცი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ინტუიტიური აღმოჩენა მოსდის ყველას კი არა, ვინც ნამუშევარი არის და ვინც ეძიებს.

ალექსი გერასიმოვის რეპლიკა: გეთანხმებით. ვინც ფიქრობს და ეძიებს.

გრძელდება დავით მუსხელიშვილის სიტყვა:

და კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო ექსპერიმენტისა და მეცნიერების ურთიერთობაზე. ყველას კარგად ესმის, რომ მეცნიერებაში მიგნების თვალსაზრისით რაღაც ჰიპოთეზა არსებობს, შენ იზიარებ მას, მაგრამ ამას დამტკიცება უნდა, არ არის ჯერ დამტკიცებული ეს ჰიპოთეზა, მაგრამ შენ მისი მაინც გწამს. ეს ურთიერთობაა მეცნიერებისა და რწმენის. ეს არ ვიცი რამდენად ღმერთან არის დაკავშირებული, მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთობაა. მე მინდა, რომ მადლობა გადავუხადო გამომსვლელებს და ყველა დამსწრე საზოგადოებას.